რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 6 ივლისი 1917 წ.

ერთობა

„თანამედროვე აზრის" გაგრძელება.

ფასი 10 კაპ.

გაზეთის ფასი: მთელი წლით—20 მ., ნახევარი წლით—11 მან., 3 თვით 6 მან. ერთი თვით—2 მან. ცალკე ნომერი ყველგან 10 კაპ. და სასადგურებზე ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ სვეტამდე 5 მანეთი ზოლით ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ ხელნაწერთა მისაღბად რედაქცია არ იბარებს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Вохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 89 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 89

ამხანაგებო! შეგვაძენიეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

ხუთშაბათს, მკათათვის 13-ს, შუადღის 12 საათზე, ქუქის წმ. ნინოს ეკლესიაში გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულად გარდაცვალებულის სტუდენტის

გრიგოლ ზურაბის ძის ელიოზიშვილის

მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავ-ნაცნობებს გარდაცვალებულის მშობლები: ოლღა და ზურაბი, და-ძმანი: სონა და მიხეილი, რძალი დარიკო, დიდედა მარიამი და დეიდა ანნა ელიოზიშვილისა.

ამავე დღეს პანაშვიდი გადახდილი იქნება ს. დგვრისშიაც. 3—1

გულდამწვარი დედ-მამა ქრისტეფორე და კესა მიქაშავიძენი, ძმები: აკაკი, ნოე, გერმანე, გიორგი და ბდიომე, ბიძები: ალექსი, მიხაკო, კოსტა მიქაშავიძეები და რძლები: თეოდორა და რისიმე მიქაშავიძისანი უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს ძვირფასი

ვასილ ქრისტეფორეს ძე მიქაშავიძის

უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 2 ივლისს თფილისში. მიცვალებულს წაასვენებენ სოფ. ფარცხნას (ქვემო იმერეთი). დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 6 ივლისს.

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე მინადორა ივანეს ასული, შვილები: ანეტა, შულბული, ელენე და მაბილინა; და მართა, ძმები: პავლე, თომა, ივანე სპირიდონ და ისაკარ, რძლები: დესპინე, კატო, ელენე და ანასტასია, სიძეები: ირაკლი ქორიძე, ლადიკო წილოსანი და ექვთიმე ბურჭულაძე უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ (აწ გარდაცვალებულ თეოფილე (მიშა) გურგენიძის მამის)

ონისიმე ალექსის ძე გურგენიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება შაბათს, 8 ივლისს, სოფ. სამების (გურია) ეკლესიის გალავანში.

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის

ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი

მოთავსებულია „ერთობის" რედაქციის გვერდით. საქალაქო არჩევნების საქმეთა შესახებ მდივანი ცნობებს იძლევა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

შემოწირულება მუშ. დეპ. საოლქო ცენტრის სასარგებლოთ

მიიღება სასახლეში, სპარსულ ზალაში დილ. 10—2 ს. და საღ. 6—9 ს.

მოქალაქენო ოქროს მჭედლებო და მესაათებო!

ხუთშაბათს, 6 ივლისს, საღამოს 7 საათზე, ხელოსანთა სამართველოს შენობაში დანიშნულია საერთო კრება, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ასარჩევათ. რადგან ეს კრება ძლიერ საყურადღებოა, ვსთხოვთ ყველას დაესწრონ.

თუ რომ მესაათეები კრებაზე არ გამოცხადდებიან იმ შემთხვევაში ისინი არ ჩაითვლებიან კავშირის წევრებათ.

კომისია.

განცხადება

ახალ კლუბის მამასახლისთა საბჭო აუწყებს კლუბის წევრთ,

რომ, რადგანაც 18-ს გასულ ივნისს არ შესდგა წევრთა

საგანგებო კრება

იგი გადაიდო 6-ს ამ ივლისისათვის საღამოს 10 საათზე.

თანახმად 29 მუხლის ძალით ეს კრება ჩაითვლება კანონიერად რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. განსახილველია: მიმდინარე საქმეები და მუდმივ მოსამართლეთა არჩევნები.

ტფ. საარჩევნო კომიტეტისა და ტფ. ქალაქ. სამმართველოსაგან

მომავალ საბჭოს არჩევნების შესახებ.

24—28 ივნისს მიცემული განცხადებანი, საარჩევნო სიაში გამორჩენის ან უწესრიგობის და შეცდომების შესახებ, საარჩევნო კომიტეტის მიერ გაირჩა 29, 30 ივნისს, 1, 2 და 3 ივლისს. თუ ამ ხნის განმავლობაში განცხადების შემტანთ არ მიუღიათ საარჩევნო კომიტეტისაგან რაიმე ცნობა ან და არ იქმნა დაკმაყოფილებული მათი პროტესტი თუ საჩივარი, იმ შემთხვევაში ზემო აღნიშნულ პირთ ნება აქვთ სამი დღის ე. ი. 4, 5 და 6 ივლისის განმავლობაში პროტესტით და საჩივრით მიმართონ საოლქო სასამართლოსთან არსებულ ადმინისტრატიულ სასამართლოს. ეს უკანასკნელი კი ვალდებულია ყველა საჩივარი განიხილოს 7, 8, 9, 10, და 11 ივლისს. ამის შემდეგ უკანასკნელად შესწორებული საარჩევნო სიები გამოცხადდება 12 ივლისს. ის პირები, რომელნიც არ იქნებიან შეტანილნი ამ სიებში ან და არჩევნების მოხდენამდი დაჰკარგავენ ხმის მიცემის უფლებას (იხ. სტ. 4 და 5) არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ (იხ. სტ. 12) უკანასკნელათ შესწორებული სიები ორი კვირის განმავლობაში ე. ი. 12-ან 26 ივლისამდე იქნება წარდგენილი საყოველთაო განსახილველად.

სამტრედიის მომხმ. საზ. „დახმარება"-ს გამგეობა

კვირას, 9 ივლისს იწვევს

არა ჩვეულებრივ საზოგადო კრებას

კლუბის დარბაზში, დილის 11 საათზე.

განსახილველია შემდეგი კითხვები: 1) გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენება. 2) მოსამსახურეების ჯამაგირების გადიდება, 3) საფართლო და სასადილოს გახსნის შესახებ და 4) გამგეობის წევრების არჩევა.

თუ ეს კრება, წევრების გამოუცხადებლობის გამო არ შესდგა, მეორე კრება შესდგება კვირას 16 ივლისს. 3—1

თავისუფალი თეატრი

ხელოსანთა კლუბი

დღეს, 6 ივლისს, სახალხო სახლის სცენის მოყვარეთა მიერ და ბ-ნი ალ. შანშიაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ცნობილი ტრაღედია **ყაჩაღები** ტრაგედია 5 მოქმ. და 7 სურათად

შილლერისა

მოქმედნი პირნი: ქ-ნი ნ. ზერძნიშვილი. ბ-ნი: გულიკურაშვილი, ანაშვილი, ალ. გოგაშვილი, თავდგირიძე, მინდიაშვილი, მამაჯანოვი, ჯაბუა, კაციტაძე, თვალჭრელიძე, სალაყაია. „მეხის-დამცემი" მეტრეველი და სხვა.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველ საღამოს. თეატრის ბილეთების მყიდველი, კლუბში შესასვლელ ფას აღარ იხდის. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. (უმორჩილესად ვთხოვთ პატივ-ცემულ საზოგადოებას რომ თავის დაგვეხმაროს წესრიგის დაცვაში.

გამგე ალ. გოგაშვილი. რეჟისორი ივ. მინდიაშვილი.

ანონსი. მზადდება წარმოსადგენათ ახალი ორიგინალური პიესები. ხავაჯრო ხახლი რომანოვებისა და მისი-ამხანაგობისა (ჯიდეიშვილისა). ხუშიმან ხანი. ოპერეტკა შარქი (გოზიტიშვილისა). ურიელ-აკოსტა, გამლეტი, ყომარბაზის ცხოვრება და სხვა.

ქუთაისი

ექიმ შ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავადმყოფთათვის, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 დ. საათამდე

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქუჩინიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვენეცია-სწორედ ჰერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიევლის ქუჩა, № 19.

ექიმი შ. გ. მუხაძე

იღებს სდოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, საზ. ხვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ქ. ქუთაისში.

ექიმი შ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

საოლქო კომიტეტის გამოცემანი.

(საწყობი კომიტეტის ბიურო, გოლოვინის პროსპ. № 12).

1.	ს. დ. პ. პროგრამა ქართულათ	10 კ.
2.	ს. დ. პ. პროგრამა რუსულათ	10 „
3.	ს. დ. პროგრამა სომხურათ	10 „
4.	ს. დ. პროგრამა თათრულათ	10 „
5.	მუნიციპალური პროგრამა რუს.	5 „
6.	მუნიციპალური პროგრამა ქართ.	5 „
7.	ძირს სოც. დემ. ბრალები რუს.	20 „
8.	სოც. დემ. და ქალაქის თვით-მართველობა რუსულათ	20 „
9.	ბუკვარი წიგნაკი ქართულათ	20 „
10.	ოთხი ძმა ქართულათ	35 „
11.	კომუნისტური მანიფესტი რუს.	20 „
12.	კომუნისტური მანიფესტი ქარ.	25 „
13.	დემოკრატიული რესპუბლიკა ქარ.	25 „
14.	დამფუძნებელი კრება რუსულ.	25 „
15.	ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართ.	30 „

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. რა უნდათ სოციალ-დემოკრ. რუსულათ.
2. დამფუძნებელი კრება თათრულათ.
3. საფრანგეთის ისტ. 1848 წ. ნ. ჟორდანიასი.

ტფ. საქონლის სადგურში

იყიდება სხვა და სხვა ბროშიურები

გამოცემა საოლქო კომიტეტისა.

მსურველს შეუძლია მიმართოს

ხაშა ჩიგოგიძეს.

ტფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები

მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტეს სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა საღამოს 5—7 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (დორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია. გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა საბჭოს ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან. ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში).

კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

უკრაინის გარშემო.

უკრაინის საკითხის გამო დროებითმა მთავრობამ ახალი დეკლარაცია გამოსცა. მინისტრებ: კერენსკის, ტერეშჩენკოსა და წერეთლის მოხსენების შემდეგ დროებითი მთავრობა შემდეგ გადაწყვეტილებამდის მივიდნენ: დაარსდეს განსაკუთრებული უმაღლესი ორგანო—გენერალური სეკრეტარიატი, რომლის შემადგენლობა დროებითი მთავრობისა და უკრაინის ცენტრალური რადის შეთანხმებით იქნება გამოწვეული. ამასთან დასახელებულ ორგანოში შევლენ სხვა ერების წარმომადგენლები, რომლებიც უკრაინის ტერიტორიაზე სცხოვრობენ და შიგვე შევლენ აგრეთვე დემოკრატიული ორგანიზაციების რწმუნებულები. უმაღლეს ორგანოს მოვალეობას შეადგენს მან ისეთი პრაქტიკული ზომები განახორციელოს, რომელიც უკრაინის მართვა-გამგეობის საქმეებს შეეხება. რაც შეეხება უკრაინის ნაციონალ-პოლიტიკურ მოწყობასა და აგრარულ საკითხს, იგი სრულიად რუსეთის მომავალ დამფუძნებელ კრებაზე საბოლოოთ უნდა გადასწყდეს. ამასთან არმიის მთლიანობა რჩება და უკრაინის ჯარი სრულიად რუსეთის ჯარს არ გამოეყოფა.

ერთი სიტყვით, დროებითმა მთავრობამ უკრაინელთა ნაციონალური მოთხოვნა მოცემულ მომენტში ასე თუ ისე დააკმაყოფილა და უკრაინის ნაციონალურ ვნებათაღელვას გამოსავალი მისცა.

რუსეთის მუშათა კლასი და საზოგადოთ საერთაშორისო დემოკრატია ერთა თვით-გამორკვევის უფლების პრინციპიალურად წინააღმდეგი არას დროს არ ყოფილა და იგი მუდამ მზათ ყოფილა წვრილი ერების ნაციონალური მდგომარეობა გაეუმჯობესებინა. მხოლოდ იგი მუდამ და ყოველთვის შესაფერ მომენტს ეძებდა, როცა მას საშუალება ექნებოდა წვრილ ერთა ეროვნული საკითხი გადაეჭრა და მათი ნაციონალური უფლება პრაქტიკულათ განეხორციელებინა.

წვრილ ერთა ჩაგვრა-დევნის განელება, მისი მინიმუმამდის მიყვანა შესაძლებელია, როცა სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა დემოკრატიის ხელშია. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება ამა თუ იმ დაჩაგრული ერის პოლიტიკური და ნაციონალური უფლების აღდგენა და ერთა თვითგამორკვევის პრინციპის ცხოვრებაში გატარება.

რუსეთის დიდი რევოლუციამ დემოკრატიას ძალაუფლება მიანიჭა. საუკუნოებით უფლებას მოკლებული რუსეთის დემოკრატია ძალა-უფლებით შეიმოსა და მრავალი სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიური თუ ნაციონალური უსამართლობა დროის და გარემოების მიხედვით მოსპო.

მხოლოდ საქმე იმაშია, რომ რუსეთის რევოლუცია ჯერ საკმარისათ არ გაღრმავებულა, მისი მამოძრავებელი ძალები ორგანიზაციულათ ჯეროვანათ არ შეკავშირებულან. მას ჯერ-ჯერობით ყველა მხრიდან საფრთხე მოელის და მის მიერ მოპოვებულ უფლებას მრავალი მტრები უწნევიან; ამიტომაც რევოლუციონური დემოკრატიის მიერ მოპოვებულ სოციალურ-პოლიტიკურ უფლებას მუდამ თავს ესხმიან და მოპოვებულ თავისუფლებას ხელიდან გამოგლეჯას უპირებენ.

კონტრ-რევოლუციონური კლასი მუდამ იმის ცდაშია შესაფერი მომენტი იპოვოს, შესაფერი დრო იხელთოს, რომ ხალხის მიერ მოპოვებულ თავისუფლების წინააღმდეგ ხალხი აამხედროს და ხალხის მიერ მოპოვებული თავისუფლება არარათ გახადოს. ბურჟუაზიული კლასი ყოველ გარემოებას, ყოველ შემთხვევას თვალ-ყურს ადევნებს და მას კონტრ-რევოლუციონურ მასალათ იყენებს. იგი მუდამ მზათ არის რევოლუციონური კლასის მიერ გადადგმული ნაბიჯი სახელმწიფოსა და მთელი ერის დამღუპველათ გამოაცხადოს და რევოლუციონერების წინააღმდეგ ფართო შეუგნებელი მასა აამხედროს.

ერთ ასეთ საბუთათ, რომლითაც კონტრ-რევოლუციონური ბურჟუაზია ფართოთ სარგებლობს არის რუსეთის სახელმწიფოში წვრილ ერთა ნაციონალური თავისუფლების მიცემის საკითხი. ფინლიანდიის დამფუძნებელ კრებამდის გამოყოფის სურვილი რუსეთის ბურჟუაზიამ ფართოთ გამოიყენა და ხალხს სამშობლოს „დაცვისაკენ" მოუწოდა; ასევე ფართოთ გამოიყენებს უკრაინის რადის მიერ წამოყენებულ სურვილებს და მას საავიტაციო მასალათ გაიხდის.

ეჭვს გარეშეა დამფუძნებელ კრებამდის ნაციონალური საკითხის მთელი თავისი სიფართოვით წამოყენება და მისი ნაციონ. პოლიტიკური პირობების საბოლოოთ შემუშავება რუსეთის კონტრ-რევოლუციონურ ძალების ამოძრავებას დააჩქარებს და მით რევოლუციის გაღრმავება გაფართოებას საფრთხეს მოუმზადებს. სწორეთ ამ მოსაზრებით რუსეთის შეგნებული კლასი ნაციონალური საკითხის სავსებით წამოყენებას ეწინააღმდეგება და მის საბოლოოთ ნაციონალურ და პოლიტიკურ ფორმის ჩამოყალიბებას დამფუძნებელ კრებისათვის სდებს. ვინც ამ გზას უარყოფს ნებით თუ უნებლიეთ კონტრ-რევოლუციონერობის გაძლიერებას ხელს უწყობენ და მით რევოლუციას საფრთხეში აგდებენ.

საერთაშორისო ომი

დასავლეთის ასპარეზზე, მდ. ლომნიცას რაიონში მტერმა ძალები მოიკრიბა და ჩვენს პოზიციებზე სასტიკი იერიშები მოიტანა. ტაქტიკური მოსაზრებით რუსის ჯარმა ქ კალუშა დასტოვა. გერმანელებმა რიგის ფრონტზე ახალი ტიპის შორს მსროლელი ზარბაზნები მოიტანეს და რიგაზე გამოლაშქრებისათვის ემზადებიან. გერმანელების მიზანია აქ გაარღვიონ ფრონტი და დიდი ხნის განზრახულ ჩრდილოეთის ოპერაციას შეუდგენ.

კავკასიისა და რუმინიის ფრონტზე ჩვეულებრივი სროლაა.

საფრანგეთის ფრონტზე, განსაკუთრებით შამპანში და რეიმსის რაიონში სასტიკი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. გერმანელებმა ქალაქ რეიმსს 1,600 ზარბაზნის ყუმბარა ესროლეს.

იტალია ავსტრიის ფრონტზე ღირს-შესანიშნავი ცვლილება არ მომხდარა.

მორიგი გამოსვლა.

რუსეთის რევოლუციას კვლავ ახალი საფრთხე მოევლინა და კონტრ რევოლუციონური ძალები ამოძრავდენ. უკანასკნელები ზოგიერთა მემარცხენე პარტიის უპასუხისმგებლო მოქმედებით სარგებლობენ, ანტირევოლუციონურ საქმეებს აწყობენ. ახლა ამათ პეტროგრადში მორიგი გამოსვლები გააკეთეს და შეიარაღებული ხალხი ქუჩაში გაშოვიდა.

ოფიციალური დეპეშების ცნობით უკრაინის საკითხის გამო კადეტთა პარტიის მესვეურებმა სამინისტრო მიატოვეს და მათ კოალიციონურ სამინისტროში ყოფნა შეუძლებლად დაინახეს.

ამ გარემოებით ისარგებლეს პეტროგრადის ბოლშევიკებმა, ჯარის და მუშების ერთი ნაწილი ხელში იარაღით ქუჩაში გამოვიდენ, მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელ კომიტეტთან მივიდენ და ძალით მოითხოვდენ, რომ მათ მთელი სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ხელში ჩაიგდონ და მით მთელი სამინისტრო ადგილებიდან გადააყენონ. მათ ასეთ გამოსვლების წინააღდეგ ამხედრდენ რევოლუციონური ორგანოები, რომელნიც არიან სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები. მაგრამ უკანასკნელების სამართლიან აღშფოთებას ანგარიში არ გაუწიეს ბოლშევიკების ლიდერებმა და ისინი ქუჩებში არეულობის მოხდენას ხელს უწყობენ. მათი ასეთი ანარქისტული გამოსვლები კონტრ-რევოლუციონურ ელემენტებს საშუალებას აძლევენ ამღვრეულ წყალში თევზები დაიჭირონ და რევოლუციის განმტკიცებას ხელი შეუშალონ.

დიახ—ბოლშევიკების საქმიანობა რეაქციის გაძლიერებას ემსახურება და კონტრ-რევოლუციის გაძევინებას ხელს უწყობენ.

პირველი ასეთი ნაბიჯები ბურჟუაზიამ გადადგა, იგი რევოლუციის პირველ დღეებიდანვე, როგორც კი პროლეტარიატმა თავისი პოლიტიკური და ეკონომიური უფლების მოთხოვნილების ფართოთ წამოყენება დაიწყო, ბურჟუაზიამ რევოლუციონურ კლასებს ჩამოშორება სცადა და იგი დროს და გარემოების მიხედვით იარაღს მებოდა. პროლეტარიატის ყოველი მოთხოვნა მათ საბუთს აძლევდა კლასობრივი ბრძოლა თავის სასარგებლოთ გამოეყენებია და ფართო მასა რევოლუციონურ კლასების წინააღმდეგ აეხედრებია. მუშათა კლასის მოთხოვნაში მან მთელი სახელმწიფოს დაღუპვა დაინახა და იგი ამას ვეღარ ურიგდებოდა. ამ შემთხვევაში ბოლშევიკების სოციალიზმის წამოყენებამ დიდი სამსახური გაუწია და მათ წვრილი ბურჟუაზიული ელემენტები, რომლებიც რევოლუციონურ კლასებთან მიდიოდა მუშათა კლასს აუმხედრა. ეჭვს გარეშეა რევოლუციონური ძალთა დაქსაქვის საქმეში კონტრ-რევოლუციონური ბურჟუაზია და ბოლშევიკები ერთგვარათ ემსახურებიან რევოლუციის გათიშვის პროცესს და ორივენი ერთი გზით მიდიან.

ბურჟუაზია მუდამ მომხრეა, რომ რევოლუციონურმა კლასმა ობიექტიურ პირობებს ანგარიში არ გაუწიოს, იგი მუდამ მოსურნეა, რომ პროლეტარიატმა ისეთი მოთხოვნები წამოაყენოს, რაიც ფართო მასის ეკონომიურ ინტერესებს არ ეთანხმება და იგი მას რევოლუციის წინააღმდეგ აღაშფოთებს.

ობიექტიური პირობები ბოლშევიკების ლოზუნგებს, მათ პრაქტიკულ გამოსვლებს კონტრ-რევოლუციონურ ხასიათს აძლევს და ამით რეაქციონური ელემენტები ფართოთ სარგებლობენ.

მაგრამ შეგნებულ მუშათა კლასის მოვალეობას შეადგენს კონტრ-რევოლუციონური მოძრაობა იქნება ეს ბურჟუაზიისა თუ ბოლშევიკების მხრივ, შეაჩეროს ფართო მასა ნამდვილ რევოლუციონურ ორგანოების სურვილს დაუქვემდებაროს და ანარქისტულ გამოსვლების გასაქანი არ მისცეს.

დღეს რევოლუციონური კლასები და მათი ორგანოები იმდენათ ძლიერია, იმდენათ ავტორიტეტულია, რომ ბოლშევიკების პეტროგრადში გამოსვლა კონტრ რევოლუციონურ ბურჟუაზიის წისქვილის ბრუნვას ვერ გააძლიერებს და რევოლუციის დასამარებას ვერ მოახერხებენ.

შეგნებულ მუშათა კლასის მოვალეობას შეადგენს რევოლუციონური მასა რევოლუციონურ ორგანოების სურვილების თანახმათ ამოქმედოს და მით ანარქიას ბოლო მოუღოს.

პ რ ე ს ა.

დაშნაკელთა „ორიზონი" კვლავ განაგრძობს ჩვენთან კამათს და განაგრძობს ისე, როგორც შეჰფერის „სპეტაკი ზნეობისა და პატიოსნების" მქონე ორგანოს. ის სწერს:

„დემოკრატიის გამარჯვება უფრო დაჩქარებით მოხდა, ვინემ ეს მოსალოდნელი იყო. მაგრამ რას მიიღებს ამით სომხის მშრომელი ხალხი? ჩვენ ვსარგებლობდით რა სიტყვის თავისუფლებით, ყოველ ღონეს ვხმარობდით, რომ სომხის და თათრის მშრომელი მასსა შეგვეთანხმებია. ჩვენ მხოლოდ მათი ინტერესების იგივეობით ვხელმძღვანელობდით. გლეხთა ყრილობაზე კი დავინახეთ, რომ მხოლოდ ჩვენ მივდიოდით ამ გზით. ქართველი დემოკრატიის მესვეურნი კი მიდიან იმ გზით, რა გზასაც მათ თავად-აზნაურთა კლასი უჩვენებს. ყრილობაზე გამოირკვა, რომ ეგრეთ წოდებული ქართული სოციალ დემოკრატიული პარტია არის ძლიერი ნაციონალური პარტია, რომლის ხელმძღვანელებმა განსაზღვრული შეხედულება შეადგინეს კავკასიის მომავლის შესახებ. ამის თანახმად აწარმოებენ თავიანთ პოლიტიკას მხნეთ და გაბედულათ. ამ პარტიის ტაქტიკა ასეთია: ინტერნაციონალური ლოზუნგების სახით ის ნაციონალურ მიზნებს ემსახურება. ამ მოსაზრებით ის კავშირს ჰკრავს ყოველნაირ ჯგუფთან, სრულიად არ უცქერის მას სოციალისტური თვალთახედვის იხრით". (ხაზგასმული ყველგან ჩვენია).

შემდეგ გაზეთი იმეორებს იმას, რაც ერთხელ სთქვა და შემდეგ რამდენჯერმე „გადაღეჭა"—თათრის ბეგებთან შეჰკარით ბლოკიო და სწერს:

„რაც შეეხება ჩვენს ამ ბლოკისადმი დამოკიდებულებას,—ჩვენ ჭეშმარიტად გართ სოციალისტური მოძღვრების მიმდევრები და გვწამს, რომ კავკასიის მშრომელ გლეხობას საერთო ინტერესები აქვთ, მიუხედავათ იმისა ეკუთვნის ეს გლეხობა ამა თუ იმ ნაციას".

ასე, რომ ჩვენ ვყოფილვართ თავად-აზნაურთა „ინტერესების დამცველი", დაშნაკელები კი ჭეშმარიტი სოციალისტები!.. რამდენი ხანია ეს ასე? სადაურია მათი სოციალიზმი?

ცხადად ნაში, სრულიად სომეხთა კათალიკოსის მიერ ნაკურთხი „სოციალიზმი", განა ჭეშმარიტი სოციალიზმია?! ეს „დაშნაკელების" ახალი აღმოჩენაა!

მერე ვინ არიან „დაშნაკელების" პროპაგანდისტები სომხის გლეხებში?—ტერტერები და ტერაცუები!.. რით ამაგრებთ, ამტკიცებთ თქვენს სოციალიზმს ხალხში? ზანვორების შემწეობით?! ესაა თქვენი ჭეშმარიტი სოციალიზმი?! არა, დიდი გაუგებრობაა თქვენი სოციალისტობა ბ ნნო „დაშნაკელებო"! დიდი „ღვაწლი" მიუძღვის ამ გაუგებრობის შექმნაში ჩვენს სოციალისტ-რევოლუციონერებს. მათი ნებართვით მიკრა სოციალისტური „იარლიკი" „დაშნაკცუტიუნის" პარტიამ, ამ თავიდან ფეხებამდე შოვინისტურმა პარტიამ და დღემდე ატარებს მას. „დაშნაკელებს", აბა, რა მოეთხოვებათ! სოციალისტ-რევოლიუციონერებს კი, დადგება დრო, როცა სოციალისტური სამსჯავრო პასუხს მოსთხოვს ასეთი ნებართვის გაცემაში!

დასასრულ „ორიზონი" სწერს:

„ჩვენ უნდა დავანახოთ ქართველ სოციალდემოკრატებს და თათრის შეძლებულ კლასებს, რომ სომეხ-თათართა მშრომელ ელემენტებს სურთ, შეუძლიათ და კიდევაც უნდა იცხოვრონ შეთანხმებით" და სხ.

შოვინისტები, კერძოდ „დაშნაკელები" ჩვენ „დაგვანახვებენ" როგორ შეიძლება შეთანხმებით ცხოვრება თათრების და სომხის გლეხებს!

თავხედობაა, მაშ, რა არის მათი მხრით ასეთი სიტყვები?!

ბდგილობრივი გაზეთებიც ჩაერიენ ჩვენ შორის ამტყდარ კამათში. „კავკაზსკოე სლოვო" ჰბეჭდავს „ორიზონის" ჩვენს წინააღმდეგ მიმართულ წერილებს საცვლებით და ამით „ჭეშმარიტ სოციალისტურ" აზრებს ავრცელებს. ეს არც გასაკვირველია—შოვინისტი შოვინისტს ეხმარება,—სულმა სული იცნო.

ახალ გამოსული გაზეთი „რესპუბლიკა" შუა გზაზე სდგას—არც იქით, არც აქეთ: „ორიზონს" ეუბნება—ქართველ სოციალდემოკრატების წინააღმდეგ იმ ბრალდების წამოყენება თითქოს ისინი თავად-აზნაურთა ინტერესების დამცველები არიან—სინამდვილეს არ შეეფერებაო. ჩვენ კი გვეუბნება:

„ვერ არის კარგი საკამათო კილო, როცა „ორიზონის" არა დემოკრატობას ამტკიცებთ და ეროვნული შუღლის განგებ გაღვივებას აბრალებთ „დაშნაკელებსო".

„ტიფლ. ლისტოკს" არ მიაჩნია დასაშვებათ ასეთი კამათი. ის სწერს:

„ორიზონმა დაბეჭდა მეთაური, რომელიც სავსეა უძლური, გაბოროტებული ადამიანის ლვარძლით და პრესაში არ დასაშვები გამოთქმებით. ეს წერილი მიმართულია ნ. ჟორდანიის წინააღმდეგ".

სომხური გაზეთი „მშაკი" სწერს:

„გაზეთმა „ორიზონმა" ცნობილ და პატივცემულ სოციალ-დემოკრატიის მეთაურის ნ. ჟორდანიას წინააღმდეგ ბაზრულ გამოთქმებითა და ლანძღვა-გინებით სავსე წერილი მოათავსა... რომ ჟორდანიას მოღვაწეობა ჯაფაროვთან ერთად ზიზღს გამოიწვევს ყოველ პატიოსან ადამიანშიო".

„მშაკი" ეუბნება „ორიზონს":

„თქვენი ლანძღვა-გინებით ვერც ჯაფაროვს, ვერც ჟორდანიას ვერავითარ ზარალს ვერ მოუტანთ. ამით კი ქართველებში და თათრებში შექმნით სომხებისადმი არა სასურველ დამოკიდებულებასო".

აქ „მშაკი" ცდება. „ორიზონის" ლანძღვა-გინება არავისში არავითარ არა სასურველ მდგომარეობას არ შექმნის, ვინაიდან „დაშნაკელებს" არავინ სომხის ხალხის წარმომადგენლებათ არ სთვლის. მათ სხვადასხვა „კომბინაციების" საშუალებით მოაქვთ თავი ასეთებათ!

დასასრულ „მშაკი" ეუბნება „დაშნაკელებს":

„კმარა ბატონებო! გონს მოდით. მოიგონეთ თუ რა ნ ყოფა მოიტანა თქვენმა მუშაობამ ოსმალეთის სომხეთში".

ქუთაისურ „სოციალ-დემოკრატში" სომეხი მუშა დაშნაკელების შესახებ შემდეგსა სწერს:

„დაშნაკცუთუნ" ეს ნაციონალისტ-ბურჟუაზიული პარტიაა, რომლის ლოზუნგი ყოფილა და არის მაუზერებით და სისხლის ღვრით გაანთავისუფლონ სომხეთი, დღეს თავი „სოციალისტებათ" მოაქვთ და გვარწმუნებენ, რომ ჩვენ „სოციალისტები" ვართ, ჩვენ ვართ სომხის ერის დამხსნელი, მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი და სხვა.

მაგრამ არა ბატონო „სოციალისტ" დაშნაკელებო, სომხის ერმა უკვე დაინახა თქვენი მოქმედება, გაიგო თქვენი მხსნელობა. კმარა, საკმაზე ნიღაბს ნუღარ იფარებთ და ნიღაბ აფარებული ნუღარ გვარწმუნებთ, რომ თქვენ „სოციალისტები" და ამასთან „სომხის ერის დამხსნელნი" ხართ. ჩვენ უკვე დავინახეთ თქვენი მაუზერებით და ანდრონიკათი, როგორ დაიხსენით ოსმალეთის სომხები და ბურჟუა-ლიბერალებთან ხელი ხელ ჩაკიდებული, როგორ იცავთ მშრომელ ხალხის ინტერესებს. ახლა მოგიწოდებთ თქვენ, ბატონო-დაშნაკელებო, რომ გეყოთ თარეშობა, რაც რომ ითამაშეთ და სომხის ერი დაღუპვის გზაზე დააყენეთ. უმჯობესია შეწყვიტოთ თქვენი მოღვაწეობა აქ ქუთაისში, თორემ თქვენ მახეჯე სახეს ნიღაბს ავხდით და მას „მშვენიერებას" ყველას დავანახვებთ".

მეტის მეტი სასჯელი იქნებოდა, რომ მათ მოღვაწეობა გაეგრძელებინათ ქუთაისში. დღეს „იმოღვაწეონ", მხოლოდ ნუ ატარებენ სოციალისტურ დროშას, ატარონ ის, რაც მათ შეეფერება—შოვინისტური „იარლიკი".

* * *

„საქართველოში" ბ ნი მ. ჯანაშვილის წერილია მოთავსებული ამ სათაურით: მინისტრი წერეთელი. წერილში ის აგვიწერს გიორგი წერეთელთან შეხვედრის ამბავს:

„გამოგვეგება გიორგი წერეთელი თავის ვაჟით, რომელიც, ალბად, 5—6 წლისა იყო მაშინ.

ლაპარაკი ჩამოვარდა აღზრდის შესახებ გიორგი წერეთელი ამბობს:

...რაც შეეხება მე, როგორც მამას, მე ჩემს შვილებში დასაბამიდანვე მინდა გავაღვიძო ნიჭი მჭერმეტყველებისაო. კაი მჭერმეტყველებით ძლიერ ღარიბები ვართო, და ეს სულ უკუღმართ აღზრდის ბრალიაო. მართალია, ახლა სამჭერმეტყველო ასპარეზი თითქმის არ გვაქვს, მაგრამ ქვეყანა შეიძლება სხვანაირად მოტრიალდეს, ჩვენს იმბლობასაც ბრმა ბედმა გამოუღამოს და საპარლამენტო კვარცხლბეკები მოგვანიჭოს, და მაშინ საჭირო იქნებიან ქართველი ორატორებიო. ნება მიბოძეთ ჩემს ირაკლის თქვენს წინაშე წამოვაფრქვევინო სამჭერმეტყველო ნიმუშიო. დაიძახა სოსლზე, აქეთ იქით დავსხედით ჩვენ, წინ დაიყენა პატარა, მაგრამ მეტად მალხაზი ყმაწვილი, და უბრძანა: ხმამაღლა, გარკვევით და გრძნობიერად გამოსთქვი ლექსიო. ყმაწვილმა ტანი მოიმართა ორატორულად, გაიჭიმა მოხდენილად, თავზე ხელი გადისო და ამეტყველდა: მოსთქვა ხან ნაზად, ხან მქუხარედ, მეხ ხრედ. კარგათ აღარ მახსოვს, მაგრამ მგონია მიაფრქვევდა ბარათაშვილის ლექსს „ყვავილი". შემდეგ გამოთქვენა რამდენიმე სხვა ლექსი გოგებაშვილის დედა ენიდამ და აგრეთვე რ. ერისთავის იგავი „მამალი და მარგალიტი". ჩვენ აღტაცებული ვუყურებდით ნახუცითა და გაგონილით. თვით გიორგი გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა თავის შვილს და რომ დაასრულებდა მცირე-წლოვანი ორატორი სათქმელს, მამა ალერსიანად ეუბნებოდა: ესა და ეს სიტყვა უფრო მკაფიოდ გამოთქვი ხოლმეო, აქა და აქ საჭიროა ხმა აუმაღლო, უკანასკნელი სიტყვა უფრო რიხიანად უნდა გამოჰკვეთოო და სხვა.

პეტროგრადის ამბები

4 ივლისს ნაშუაღამევს 2 საათ. და 15 წ. მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრალური კომიტეტის ერთი წევრისაგან აკაკი ჩხენკელმა პირდაპირი მავთულით პეტროგრადიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: მთავრობის მიერ დეკლარაციის გამოქვეყნებას უკრაინის საკითხის შესახებ შედეგათ კადეტთა მინისტრების სამინისტროდან გასვლა მოჰყვა. მთავრობის კრიზისი 3 ივლისს დილით დაიწყო. საღამოს პეტროგრადის ზოგიერთმა ჯარის და ქარხნებმა მოთხოვნანი წამოაყენეს, რათა მთელი მთავრობის ძალაუფლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ხელში გადასულიყო. საღამოთი ქუჩებში გამართა შეიარაღებული დემონსტრაციები. მთელი ღამის განმავლობაში მეტად საშიში მდგომარეობა იყო. მთელი რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალური კომიტეტის განუწყვეტელი სხდომა დილის 6 საათამდე გაგრძელდა. დღის, 4 ივლისს წინადადებით მოლაპარაკების დილის 11 ს. ქუჩებში დაიწყო პეტ. ჯარების და მუშების შეიარაღებული დემონსტრაციები. ამ დემონსტრაციებში მონაწილეობას იღებდენ აგრეთვე კრონშტადტელი ჯარისკაცები და მატროსები, დემონსტრანტები, როგორც გუშინ, ისე დღეს თავრიდის სასახლისაკენ მიემართებოდენ. მათი მოთხოვნები მიმართული იყო დემოკრატიის ცენტრალურ ორგანოებისადმი. დღის მთელი დღე, სად. 10 საათ. მუშათა და ცენტრალური კომიტეტი შეიარაღებული მუშების და სხვადასხვა ჯარის ნაწილების ჯარის კაცებით გარშემორტყმული. დემონსტრანტების დანიშნულება იყო, რომ იძულებული გაეხადათ დემოკრატიის ცენტრალური ორგანო, რათა მას ხელში ჩაეგდო მთავრობა. დემონსტრაციების დროს მოხდა შეიარაღებული შეტაკება. არიან მოკლულნი, დაჭრილია 100 მეტი კაცი. ამ ჟამათ დემონსტრაციები შეწყდა, მაგრამ მდგომარეობა ისევ საშიშროა. კრიზისი ჯერ კიდევ არ შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს. მთელი რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების და სრულიად რუსეთის გლეხთა აღმასრულებელი კომიტეტების სხდომები გრძელდება. დავა იმის გარშემო სწარმოებს:—ბიდონ სოციალისტებმა მინისტრთა ფორთიელების მეტი ნაწილი, თუ დარჩენ 5 მაისის შეთანხმების ნიადაგზე. ვინც წინააღმდეგია, რომ ამ ჟამათ მთავრობაში სოციალისტების უმრავლესობა იყოს, მათ საბუთად ის მოჰყავთ, რომ ჩვენ ამის გადაჭრის უფლება არ გვ ქვს, ვინაიდან ჩვენ ხელმძღვანელი არ მოგვიწვევია სრულიად რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ყრილობამ. მათი აზრით ასეთი ყრილობის მოწვევა ორ კვირაში შეიძლება. მანამდე მათი აზრით საჭიროა 10 სოციალისტის და არა სოციალისტი მინისტრების დატოვება. მინისტრის თავისუფალი ადგილები დროებით დაკავებული დარჩება. მთავრობიდან გავიდა თუ არა მინისტრი პერევერზევი. ნეკრასოვი ჯერ კიდევ მთავრობაში დარჩა, მხოლოდ კადეტთა პარტიიდან გავიდა. ჯერჯერობით თვით მინისტრის დეპუტატების ყრილობის მოწვევამდე, როგორც ჩანს, უმრავლესობა თანაუგრძნობს. ძნელი გასათვალისწინებელია—დააკმაყოფილებს საკითხის ასე გადაჭრა აღელვებულ ხალხს, განსაკუთრებით მაშინ, თუ მთავრობა სათავე, რომ ის მიიღო ახლო სურთ გამოიყენონ კონტრ-რევოლუციონერებმა ძალებმა. მთელ ამ მოძრაობას რევოლუციის მოწინააღმდეგე ძალთა ბუნებრივ აშკარავებელი აზის. პრემიერი მინისტრი ლვოვი არ დაუპატიმრებიათ. ცალკე ჯგუფების ამბობდა კი იყო: „კრონშტადტის ხელები შეუპყრეთ", წერეთელი და ჩხეიძე თავ-თავიანთ ადგილზე არიან და განუწყვეტლივ მუშაობენ. პეტროგრადის ციხე არავის არ აღეპა. თავი დაანებეს მთავრობას შემდეგმა მინისტრებმა: შინგარიოვმა, მანუილოვმა, შახოვსკოიმ და პეტრუშევსკიმ და მინისტრის ამხანაგმა სტეპანოვმა. რევოლუციონური წესრიგის დასაცავად ბოლო ხომზებ ჯერ-ჯერობით არ არის გამომუშავებული აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებმა „ბოლშევიკებიც" ესწრებიან. ცოცხალი ლაპარაკობენ. გაზეთებში კი, ცხარე წერილებსა ჰბეჭდავენ. ამ დემონსტრაციების, როგორც ისინი ამბობენ, ორგანიზაციულ კოლექტივში თავისებურ ფართოთ მასსის უქმაყოფილება. ისინი თ ხელში გამოსვლას, რამდენადაც ის მშვიდობიან დემონსტრაციის ეხება, ისინი უარჰყოფენ. იარაღის ხმარების დემონსტრაციის დროს, რასაც ადგილი ჰქონდა, საშიში რომ ინციდენტები სთვლიან, თუმცა ასეთ მომენტში ის აუცილებელი იყოო. ხალხის დასაწყნარებლათ ზომები მიიღება.

მოძმე კავკასიის ჯარებს, მუშათა და გლეხთა ცენტრების აღმასრულებელი კომიტეტების შეერთებულმა კრებამ, რომელმაც შემდეგი მოწოდება გამოსცა:

ამხანაგებო ჯარისკაცებო და მუშებო!

ჩვენს წინაშე მოვალეობას შეადგენს დავიცვათ თავისუფლება და სწორედ, როგორც ის შეიძინა თავისუფალ რუსეთის რევოლუციონერ შვილებმა.

გახსოვდეთ ამხანაგებო, რომ ბნელი ძალები, რევოლუციის მიმღულელ მტრები ელიან წუთებს, რომ რევოლუციის მძიმე, გარდამავალი მომენტით ისარგებლონ, ჩვენი თავისუფლების წინააღმდეგ დაღუპველი მოქმედება დაიწყონ, მოაწყონ თავდასხმები, ძარცვა-გლეჯა, ცემა-ტყეპა და ყოველგვარი უწესობა.

რუსეთის რევოლუციის თავისუფლების შეიძინეს ცოცხლად ფხიზლად და რიგი რევოლუციონერ დისციპლინა თქვენგან გამოხატვის მოითხოვს, ჩვენ შეკავშირებულნი, ერთსულოვნად და შეთანხმებულათ უნდა გამოვიდეთ სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დეპუტატთა ყრილობასთან ერთად, რომელიც მთელი რუსეთის რევოლუციონურ ძალთა სურვილების გამომხატველია და დავიცვათ თავისუფლება ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონერებისაგან, ვინც გინდა არ იყვნენ ისინი,—იქნებიან კონტრ-რევოლუციონერი ბურჟუაზია თუ ნიკოლოზ მეორის წყობილების მომხრენი.

ნუ ავყვებით ბნელი ძალების პროვოკაციას და მთელი რუსეთის რევოლუციონერებთან ერთად ამხილით და დაგმეთ ისინი.

კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხების საბჭოთა ცენტრების აღმასრულებელი კომიტეტები.

ქ. თფილისი, 5 ივლისი, 1917 წ. დილის 5 ს. და 35 წ.

(პ. ტ. ს.)

მ ო წ ო დ ე ბ ა.

დილით 4 ივლისს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭოთა აღმასრულებელმა კომიტეტმა შემდეგი მოწოდება გამოსცა: „ამხანაგო მუშებო და ჯარისკაცებო! გუშინ გადადგენ მთავრობის ზოგიერთი წევრნი, რომელნიც კონსტიტუციონალურ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნიან. ამ ამბის გამო მოიწვიეს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის კრება, რომელსაც თავისი გადაწყვეტილება უნდა გამოეტანა ამ კრიზისის შესახებ, როგორც რევოლუციონერ დემოკრატიის ორგანოს, მაგრამ კრება შეაწყვეტინეს. მიუხედავად იმისა, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ არა ერთხელ გადაწყვიტა, ქუჩაში გამოვიდა ზოგიერთი ჯარის შეიარაღებული ნაწილები. მათ მოინდომეს ქალაქის ხელში ჩაგდება, ამიტომ დაიწყეს ქუჩაში კერძო პირთა დატუსაღება. მივიდენ თავრიდის სასახლესთან და მოსთხოვეს აღმასრულებელ კომიტეტს ეკისრა მთავრობა. მათ წინადადება მისცეს საბჭოებს ეკისრათ მთავრობა და თვითონვე პირველი შეიხნენ მას. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტები ზიზღით უარჰყოფენ რაიმე ძალდატანებით ჯანაცნა იქონიონ მაზე. არა-საკადრისია ქუჩაში იარაღით გამოსვლით ერთი ქალაქის გარნიზონის ნაწილის ნება-სურვილი მთელ რუსეთს მოახვიონ თავზე. პეტროგრადში დაღვრილი სისხლის პასუხისმგებელი არიან ის პირნი, რომლებმაც ქუჩაში გამოიწვიეს შეიარაღებული ჯარები, ასეთი მოქმედება პირდაპირ ღალატია ჩვენი რევოლუციონურ ჯარების, რომლებიც ბრძოლის ველზე სისხლს ღვრიან თავისუფლების დასაცავათ. ის ვინც ძალს იხმარს დემოკრატიული ორგანოების წინააღმდეგ, ის ზურგში მახვილს ჩასცემს რევოლუციონერ ჯარს, რომელიც ვალდებულია ჯარის წინააღმდეგ იბრძვის. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა სრულიად რუსეთის ორგანოების სასტიკ პროტესტს აცხადებს ასეთ გამოსვლების წინააღმდეგ, რომლის ძალს ფრონტის ყოველივე სახალხო მთავრობას და მათ შორის დამფუძნებელ კრებასაც. ეს ორგანოები ერთხელ და სამუდამოთ მოითხოვენ ბოლო მოუღონ ასეთ სამარცხვინო გამოსვლებს. ყველამ, ვინც დარაჯათ უდგა რუსეთის რევოლუციას, სრულიად რუსეთის საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები მოუწოდებენ ელოდონ ამ ორგანოების გადაწყვეტილებას კრიზისის შესახებ. ამ გადაწყვეტილებას უნდა დაემორჩილოს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლების საქმე".

მინისტრ თავმჯდომარის დეპეშა.

მინისტრ-თავმჯდომარემ ყველა გუბერნიის კომისარებს 4 ივლისს შემდეგი ცირკულიარული დეპეშა გაუგზავნა: „რადგან მრავალი შეკითხვები მოდის შინაგან სამინისტროს გადაყენების თქვენ, რომ დროებით მთავრობის ზოგიერთ წევრთ დატუსაღების შესახებ გავრცელებული ხმები ტყუილია. 4 ივლისს 12 საათიდან ჯარის ნაწილებმა შორის შეიარაღებული შეტაკება არ მომხდარა. დროებით მთავრობის შეიარაღებულ ძალთა გადაყენება და მთავრობის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო გადაცემის შესახებ მოწოდება უპასუხისმგებლო კერძო პირების საქმე იყო და მას ხალხში მტრული თვალით შეხედა. აღმასრულებელმა კომიტეტმა მოწოდება ხმას ზურგს და ზიზღი გამოუცხადებს ასეთ გამოსვლების ინიციატორებს. გარდა ამისა დროებითი მთავრობა თავად ლოვის მეთაურობით მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით, ყოველგვარ ზომებს ღებულობს არ მოხდეს ისეთი ამბები, რომლებიც მთელ სახელმწიფოს დაღუპავს. მთავრობის შედგენის შესახებ მოლაპარაკება დროებით შე წყდა გუშინდელ დღეს გადადებულ ამბების გამო, მაგრამ ქუჩებში უწესოების ჩაქრობის შემდეგ ისევ განახლდება". ხელს აწერს მინისტრი თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი თავადი ლვოვი.

3 ივლისის ამბები.

სამ ივლისს, დილის ათ საათზე თავრიდის სასახლის მოედანზე და ახლო მახლო ქუჩები ხალხით და ჯარით გაივსო. წინ 1 ტყვიამფრქვეველი პოლკი. მის დროშაზე სწერია: „ძირს მინისტრი კაპიტალისტები". პოლკს უკან მისდევდა მუშათა წითელი გვარდია და ტყვიამფრქვეველები შეიარაღებული ავტომობილი. ტაშით მიმოეგება შეხვედრა, ავტომობილების ღერ უშვებენ. დეპუტატთა საბჭოს წევრებმა მიმართეს ხალხს და მოსთხოვეს დამორჩილებოდენ საბჭოთა სრულიად რუსეთის გადაწყვეტილებას. ჩხეიძემ განაცხადა, რომ კერძო პირებს და ჯარის ზოგიერთ ნაწილებს უფლება არა აქვთ თავიანთი ნება რუს. დემოკრატ. ცენტ. ორგა-

ნის მოახვიონ თავზე. ჩხეიძის სიტყვას და მის მოთხოვნას დაშლილიყვნენ ცივათ შეხვდენ. ასეთივე ცივათ შეხვდენ სხვა ორატორებსაც. წინააღმდეგ ბოლშევიკ ორატორებს—ტროცკის, ზინოვიევს და სხვებს, რომლებიც მოუწოდებდენ მთავრობის ხელში ჩაგდებას, დიდის ოვაციებით და ტაშის ცემით ხვდებოდენ. საღამოს დანიშნული დუმის დროებით კომიტეტის სხდომა არ შესდგა. კომიტეტის წევრებმა სასახლე დასტოვეს. თავრიდის სასახლეში შეგროვდენ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის წევრები. მოვიდენ აგრეთვე მინისტრი სოციალისტები. მოხდა დახურული კრება, რომელიც შუაღამემდე გაგრძელდა. ამ დროს სასახლეში მივიდენ პეტროგრადის გარნიზონის ჯარის ნაწილი და მუშათა წარმომადგენელნი, რომელნიც საჩქაროთ გამოიწვია ჩხეიძემ. დელეგატები ელოდენ შეერთებულ კრების რეზოლიუციას. საღამოზე თავრიდის სასახლეში ქუჩაში სროლის დროს დაჭრილები მიიყვანეს. (გაგრძელება ჯერ არ მოსულა).

დეპეშები.

(პეტ. ტელ. სააგ. 4—5 ივლისი).

ცენტრალურ კომიტეტების კრება.

პეტროგრადი. 3 ივლისს მოხდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალურ კომიტეტის სხდომა. დაესწრენ მეხუთე არმიის წარმომადგენელნი. მათ განაცხადეს, რომ ჯარში ყოფილი ჟანდარმები და „გოროდოვოები“ ხულიგნურ აგიტაციას ეწევიან და ამით უკმაყოფილება დაბადეს. ერთმა პოლკმა გასცა აგიტატორები და აღმოჩნდა, რომ იქ ბუდე გაუჩენია 39 ხულიგან ჟანდარმებს, საიდუმლო პოლიციის აგენტებს. ეს ხულიგნები ატყობინებდენ გერმანელთა შტაბს არმიის ორგანიზაციათა გადაწყვეტილებას. შეერთებულმა კრებამ მოწოდება გამოუშვა და მოუწოდებს ჯარს შეასრულოს სამხედრო მინისტრის ბრძანება, რომელმაც შეტევა გამოაცხადა. ეხლა არავითარ უთანხმოებას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს. ყველამ უნდა დაეხმაროს იმათ, რომლებიც პირისპირ უდგანან მტერს.

რუსული მანეთის ფასმა აიწია.

ჰელსინგფორსი. რუსული მანეთის ფასმა საგრძნობლათ აიწია. ბანკებში ტევა აღარ არის. მოსალოდნელია კიდევ აიწიოს.

ბეტმან ჰოლვეგის გადადგომა.

სტოკჰოლმი. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ ბეტმან ჰოლვეგი გადადგა, ვილჰელმმა მას დიდი ჯვარი უბოძა—„ჰოჰენცოლერნთა სახლეულობა“. მიხაელის დანიშნა საიმპერიო კანცლერათ, პრუსიის სამინისტროს პრეზიდენტათ და საგარეო საქმეთა მინისტრათ.

რეიხსტაგი ზავის მომხრეა.

სტოკჰოლმი. რეიხსტაგის უმრავლესობა შეთანხმდა ზავის პროგრამის შესახებ. რეიხსტაგი ცდილობს ერთა ურთიერთ შეთანხმებას, უარს ჰყოფს ტერიტორიალურ შემოერთებას, პოლიტიკურ, ეკონომიურ და ფინანსიურ ძალდატანებას სხვა ერებზე, უარს ჰყოფს ეკონომიურ გამოცალკევებას და მოითხოვს ზღვების თავისუფლებას.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. 4 ივლისი. კალუშას ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელების გააფთრებული იერიშები მოვიგერიეთ. ტაქტიკური მოსაზრებით ქალაქი კალუში მივატოვეთ და მდ. ლომნიცას ნაპირზე გადმოვედით. ნოვიცას რაიონში ჩვენი ჯარი იერიშების მიტანას განაგრძობს. მტერმა ძალა მოიკრიბა, იერიშები მოიტანა და სოფ. ნოვიცა დაიკავა. მაგრამ მალე კონტრ იერიშები მივიტანეთ და დაკავებული სოფელი კვლავ უკან დავიბრუნეთ. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

რუმინიის ფრონტზე, მდ. დუნაის შესართავთან ჩვენმა ჯარმა სოფ. დუნავეცა დაიკავა.

კავკასიის ფრონტზე, სერდიშტასა და ბანას რაიონში ქურთთა რაზმების იერიშები მოვიგერიეთ. იერიშები მოვიგერიეთ აგრეთვე გარანის რაიონში.

რიგა. 3 ივლისი. რიგის ფრონტზე გერმანელებმა ახალი ტიპის შორს მსროლელი ზარბაზნები მოიტანეს. მტერმა რიგის მარჯვენა ფრონტის სხვა და სხვა ადგილებზე 600—700 ყუმბარა გადმოაგდეს. გერმანელები აქ დიდ სამზადისში არიან და რიგაზე გამოლაშქრებისთვის ემზადებიან.

პარიზი. 3 ივლისი. ბრიან-ლონუასა და იუტებიზას რაიონში საარტილერიო სროლაა. რეიმსის აღმოსავლეთით და შამპანში მტრის იერიშები მოვიგერიეთ და მათ დიდი ზიანი მივაყენეთ. რეიმსში მტერმა 1600 ყუმბარა გადმოაგდო.

ლონდონი. ბრიტანეთის მთავარ ბინის ოფიციალური ცნობა. ფონტენ ლე-კრუაზიდან მტრის რაზმები გარეკეს. არმანტიერის ახლოს ჩვენ თავს დავესხით მტერს და ტყვეები წამოვიყვანეთ.

ნიუიორკი. ნაციონალურ არმიის მობილიზაცია დაიწყო. ჯარებს ყაზარმებში ათავსებენ. სულ ჯერ ჯერობით შეაგროვეს 50,000 ჯარისკაცი.

დეპეშა.

(საკუთ. კორესპ.)

ღალი. (სამურზაყანო) 2 ივლისს, აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნების დროს სოფ. ოქუმში, ცნობილმა რეაქციონერმა მელიტონ ემუხვარმა მოქმედებით შეურაცყოფა მიაყენა ჩვენს პატივცემულ ამხანაგს, პოლიტიკური თავისუფლებისათვის მებრძოლს, სარაიონო კომიტეტის წევრს ივანე გიგიას.

სარაიონო კომიტეტი.

სოხუმი. საქალაქო არჩევნები დასრულდა. აირჩიეს 40 ხმოსანში სოც.-დემ.—18, სოც.-რევოლიუციონერი—10, კადეტი—4, ფედერალისტი—2, ნაც.-დემ.—2 ებრაელთა ჯგუფი—2, უკრაინელი—1, დაშნაკელი—1.

ეხვანჯია.

ოზურგეთი. 25 ივნისიდან ბახმაროზე საზაფხულო სეზონი გაიხსნა. სურსათის ნაკლებობა არ არის მოსალოდნელი, ბინების ზომიერი ფასებია. „ჯანმთელობის“ გამგეობა.

ახალი ამბები

◆ **სოც.-დემ. პარტიის გაერთიანების მომხრე** ამხანაგების საინიციატივო ჯგუფი 7 ივლისს, სად. 8 საათზე, მეოთხე რაიონის კოლექტივის კლუბის დარბაზში (ლორის მელიქოვის ქ. პირველ საქალებო გიმნაზიის სადგომში) იწვევს იმ ამხანაგების კრებას, რომლებიც საერთო მუშაობის ნიადაგზე დგანან, დასწრება შეუძლია მხოლოდ პარტიის წევრებს, თემა: „საქალაქო არჩევნები.“

◆ **საკანდიტროებში მომუშავეთა გაფიცვა.** მუშათა დეპუტატების საბჭოში საკონდიტროებში მომუშავეთა პროფესიონალურმა კავშირმა განცხადება შეიტანა და მოითხოვს მიეცეს მუშებს გაფიცვისათვის სამუშაოდან დათხოვნის დროს სამი თვის ჯამაგირი. საბჭომ დაადგინა წინადადება მისცეს პროფესიონალურ კავშირსა და მეწარმოეებს შეადგინონ შემრიგებელი კომისია ორივე მხრიდან თანასწორი წარმომადგენლებისაგან.

◆ **კახეთის ხაუფლისწულო მამულების** მუშები სთხოვენ თუ მუშათა დეპუტატების საბჭოს მიიღოს საჩქარო ზომები მათი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ.

◆ **კიდევ თვითგასამართლება.** 4 ივლისს მრავალრიცხოვანი ბრბო მიადგა ქუთაისის ქუჩაზე № 18 სახლს და მოითხოვა ყოფილი ჯალათის ანტონ ქ[illegible]ნკოვსკის გარეთ გამოყვანა. მილიციონერებმა და პატრულებმა ვერ შესძლეს ბრბოს დაწყნარება. აღელვებული ბრბო შეუვარდა ქ[illegible]ნკოვსკის ოთახში, გამოიყვანა იგი ქუჩაში და იქვე მოჰკლა.

◆ **სიღნაღის მაზრის სასოფლო კომიტეტებმა** დაადგინეს: ნატურით გადასახადის მაგიერ მემამულეებს თითო დღიურ მიწაში მისცენ წლიურათ 1 ფუთი ხორბალი ან 2 მან. ამ დადგენილებას მემამულეები არ დაუკმაყოფილებია და სთხოვენ საგუბერნიო კომისარიატს მიიღოს ზომები ამ დადგენილების გასაუქმებლათ, რომ ძალაში დარჩეს ძველი პირობები.

◆ **გაზეთის ქაღალდის ნაკლებობა.** ამ ქამათ რუსეთში გაზეთის ქაღალდის ნაკლებობაა. ფასი დღითი დღე მატულობს. ქაღალდის წარმოების სააქციონერო საზოგადოებამ „კიუმმენემ“ ამ დღეებში ადგილობრივ გაზეთებს აცნობა, რომ ვინაიდან ამერიკიდან საჭირო მანქანები და მასალები ვერ მიიღეთ—ქაღალდის წარმოება 30 პროცენტით შემცირდება ჩვენს ქარხანაში.

◆ **მეპურეთა გაფიცვა თფილისში დასრულდა.** მუშათა მოთხოვნანი დაკმაყოფილებულ იქნა იმ სახით, როგორც ის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან არსებულმა მუშათა კომისიამ შეიმუშავა.

◆ **ჩაი.** ქალაქში ჩაი ძნელი საშოვნელი შეიქნა. როგორც ირკვევა, თფილისიდან ჩაის სხვადასხვა ადგილებში გზავნიან თურმე. ამიტომ სასურსათო კომიტეტმა სთხოვა თფილისის და ნავთლუღის სადგურების უფროსებს და აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსს ბაგაჟით ან სიფოსტო ამანათებით გასაგზავნ ჩაის ნუ მიიღებენ.

◆ **ანარქიის წინააღმდეგ.** მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს აზრათ აქვს ახლო მომავალში მოიწვიოს კავკასიაში მოქმედი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა კრება. კრებამ უნდა გამოიმუშაოს ზომები ანარქიის წინააღმდეგ, რომელიც კავკასიის ზოგიერთ კუთხეებში ფეხს იკიდებს და ვითარდება.

◆ **ლტოლვილთა გამოსაკვებათ** ქალაქთა კავშირის განკარგულებაში 500 ათასი მანეთი გადასდო ლტოლვილთა მომწყობის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა.

◆ **ადგილობრივ სასამართლოთა რეფორმა.** ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტთან დაიწყო განსაკუთრებული თათბირის სხდომები, სადაც ადგილობრივი სასამართლოს საკითხებს არკვევენ. ხსენებული საკითხის გასარკვევათ საგანგებო კომიტეტმა პეტროგრადში გაგზავნა ნაფიცი ვექილები: ნ. ჯაფარიძე და ი. დოლუხანოვი.

◆ **ლტოლვილნი.** ლტოლვილთა მომწყობ საბჭოს ცნობით კავკასიის ფრონტზე 1 ივლისს იყო: ერევნის გუბერნიაში 126,737 სული, ყარსის ოლქში 29,600, ბაქოში 2,500 თავრიზში და მის მიდამოებში 7017 სული. დანარჩენი ადგილების ცნობები ჯერ შემოწმებული არ არის.

◆ **ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის** საქმეების გამგეთ დაინიშნა ი. ა. შუმახერი. კანცელიარიის დირექტორის თანაშემწეთ ნ. გ. კ[illegible], ვიცე-დირექტორათ—თავ. ი. ვ. [illegible]ძე.

◆ **შაქარი.** ვინაიდან შაქრის ნაკლებობაა ქალაქში, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა წინადადება მისცა ოფიციალურ საკონსუმო საზოგადოებებს, რათა მან ნ ვაგონი შაქარი დაუთმოს იმ 8 ვაგონ შაქრიდან, რომელიც საზოგადოებას საწყობებში აქვს შენახული.

◆ **განმარტება.** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა განმარტა, რომ არ შეიძლება არც აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმში, არც კომისარიატში და არც მილიციაში ყოფილი სოფლის [illegible] არჩევა. არ შეიძლება ზემოხსენებულ დაწესებულებებში აგრეთვე სამხრე, საგუბერნიო ან სასოფლო პოლიციის ან სხვა რაიმე სადამინისტრაციო თანამდებობაზე ნამსახურ [illegible] არჩევა.

◆ **შავი ზღვის პირის რკინის გზა** არმავირ-ტუაფსე [illegible] ახლო მომავალში მიღებული იქნება. სხვათა შორის იქ ამ ქამათ მუშაობს მურმანის რკინის გზიდან ჩამოყვანილი სარკინის გზო ბათალიონი [illegible].

◆ **თფილისის გარნიზონის სანიტარულმა** საბჭომ მიიღო საჩქარო ზომები იმ უწესოებათა გამოსარკვევათ, რომლებსაც ადგილი აქვს ნავთლუღის გამანაწილებელ პუნქტში.

◆ **კრება.** დღეს 6 ივლისს, სად. 7 საათზე [illegible] რაჭა-ლეჩხუმის [illegible] კომიტეტის კრება.

◆ **სამგლოვიარო წერილები.** ძლიერ დაგვაღონა ამხანაგის მიხეკო ფილიპეს ძე სიხარულიძის უდროოდ დაკარგვამ. მასში დავკარგეთ გურიის [illegible] ამხანაგებმა ერთი საუკეთესო მუშაკი, გულითად თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ცოლშვილს და მშობლებს ნათესავებს. [illegible] ამხანაგები.

— მიხეკო სიხარულიძის გარდაცვალების გამო სამგლოვიარო წერილი მივიღეთ სად. [illegible] ირაკლი კ [illegible]საგან.

† ამხ. ფ. ბურჯანაძე.

სამ ივლისს, დილის ცხრა საათზე, თფილისის სადგურის მთავარს საავადმყოფოში [illegible] კომიტეტის წევრი ამხ. ფ. ბურჯანაძე. ცხედარი [illegible] მუშები და თანამოძმეები. წარმოთქმა სიტყვები რუსულ და ქართულ ენაზე. ამხანაგი ბურჯანაძე [illegible]. ხალხი.

გულწრფელების სიმართლე.

დიდი მოთმინების პატრონი უნდა იყოს მკითხველი, რომ ბოლომდე ის ლიტერატურული გამოხდაცია, ის უმაგალითო კამპანია, რომელსაც აწარმოებენ ჩვენებური ბოლშევიკები და ყოველგვარ პასუხისმგებლობას მოკლებული ბოლშევიკები. ეს უკანასკნელი ხომ მათ [illegible] თავიანთ უფროსებს გამოსჩენიან ყოველგვარ მოლოდინს. მათ დაკარგეს ყოველგვარი კილო, პრესაში გაბატონეს დაბალი ხარისხის დემაგოგიური სტილი, სრულიად [illegible] ტრამვაში*). თვალს ყურს ადევნებ ამ ნაწერებს და ვერ გამოარკვევ ვისთან გაქვს საქმე მარქსისტებთან თუ ანარქისტებთან. სად არის ბოლშევიკების [illegible] თუ წერილებში მარქსისტული სიდინჯე, ობიექტური, ცივი [illegible] მოვლენათა ანალიზი, რომლებიც საზოგადოებრივ ურთიერთობის ღრმა შეცნობაა, რაც ასე დამახასიათებელია [illegible] მარქსიზმისა? არაფერი ამის მსგავსი! მაგრამ ამ [illegible] მარქსიზმის, სოც. დემოკრატიულ „იარლიკს“ და [illegible] ბრძოლა, მათი სულ [illegible] ... „შემოერთებულ“ კომისიაში [illegible] „ნაკმა“ [illegible] მენშევიკები „ოპორტუნიზმს“ [illegible] ... ერთიან ორგანიზაციაში [illegible] (მენშევიკ[illegible]) [illegible] თავის პოზიციას [illegible].

*) „ბრძოლა“ სწერს: „პეტროგრადის პროლეტარიატის შეგნებული და მოწინავე ნაწილი და აგრეთვე რევოლიუციონერი ჯარი რევოლიუციონერი (ე. ი. ბოლშევიკური ა. ჟ.) სოც. დემ. და მის ორგანოებს სცნობს და მათ უკერიან“ № 4.

პარტიაში ბოლშევიკების ანარქიზმს გაბატონებს. მაშ კარგათ დავიმახსოვროთ, რომ შეერთება დამყარებულია პრინციპიალურ და ტაქტიკურ თავისებურობის ერთი მხარისაგან უარყოფაზე. ასე მსჯელობენ დღეს ჩვენი ბოლშევიკები. მაგრამ რას ამბობდენ ისინი ამ სამი-ოთხი წლის წინათ? გავალაპარაკოთ მათი ბელადი.

ბაქოელ ჟურნალ „წყაროს“ 1913 წლის სამ ნომერში ვრცლათ ეხება ჩვენს პარტიაში არსებულ ფრაქციულ უთანხმოებას ბოლშევიკების ლიდერი ძველი დასელი, რომელსაც კარგათ უნდა იცნობდეს ახლა მოვლენილ ანარქისტ ბოლშევიკების სულის ჩამდგმელი ფ. მახარაძე.

დასახელებულ წერილებში ძველი დასელი აცნობს რა მკითხველს ფრაქციათა წარმოშობის ისტორიას, აღნიშნავს, რომ მისი მიზეზი არ არის ამა თუ იმ პიროვნების კინკლაობა, არამედ მას აქვს უფრო ღრმა სარჩული, რომ ჩვენ პარტიაში ორი მიმდინარეობის არსებობა დამყარებულია ორგანიზაციულ და ტაქტიკურ უთანხმოებაზე. შემდეგ ავტორი მოგვითხრობს 1903 წ. სიეზდზე მომხდარ რასკოლს, მენშევიზმისა და ბოლშევიზმის ჩასახვას და ამბობს: „პარტიის ინტერესები და დისციპლინა თხოულობდა, რომ უმცირესობა დამორჩილებოდა იმას, რაც სიეზდის უმრავლესობამ მიიღო, მით უმეტეს, რომ პროგრამის საკითხში უთანხმოება არ იყო. მაგრამ უმცირესობამ, სამწუხაროთ, არ სცნო თავისთვის სავალდებულოთ სიეზდის დადგენილებას დამორჩილებოდა. მან გაილაშქრა ამ დადგენილების წინააღმდეგ“. „რა თქმა უნდა მენშევიკების საქციელის გამართლება შეუძლებელი იყო, ვინაიდან ყოველთვის და ყოველგან, სადაც კი უმცირესობა და უმრავლესობა არსებობს, პირველი მეორეს ემორჩილება, თუნდაც ეს უკანასკნელი შემცდარი იყოს, სანამ სათანადო ორგანო ამ შეცდომას არ გაასწორებს.“ („წყარო“ № 13).

შემდეგ ძველი დასელის აზრით „თეორიულათ ამ ორ მიმდინარეობათა მორიგება შეუძლებელი იყო და სრულებით გასაკვირველი არ არის, რომ მეორე სიეზდმა ისინი ვერ შეათანხმა.“ მაგრამ ავტორს აქ აინტერესებს ის, „თუ რა იყო იმის მთავარი მიზეზი, რომ რუსეთის ს. დემ. ორ ნაწილათ გაიყო, ასე რომ მასში ორგანიული კავშირი გაწყდა“. ძველი დასელის ამ კითხვაზე პასუხი იმდენათ ნათელია, იმდენათ განირჩევა მის დღევანდელ ამ საკითხის შესახებ შეხედულებისაგან, რომ ნებას მივცემთ ჩვენს თავს კიდევ მოვიყვანოთ მის წერილიდან ვრცლათ ერთი ადგილი. დასმულ კითხვას ძველი დასელი ასე უპასუხებს: „ყოველივე კრებულს და მით უმეტეს, პარტიას აქვს განსაზღვრული დისციპლინა, რომელსაც ის ემორჩილება; დისციპლინის დარღვევა ნიშნავს თვით კრებულის (პარტიის) დარღვევასაც. რა გვარი ორგანიზაციული პრინციპიც არ უნდა იყოს სახელმძღვანელოთ აღებული, სულ ერთია: დისციპლინა ყველასთვის და ყველგან საჭიროა. დისციპლინა რომ მტკიცეთ ყოფილიყო ჩვენში დამყარებული, მაშინ განა შეიძლებოდა პარტიაში ბოლშევიკების და მენშევიკების გაჩენა და ამის კვალობაზე მისი ორ ნაწილათ დაყოფა? და თუ ეს ასე მოხდა, ეს იმის მომასწავებელია, რომ რუსეთის სოც. დემ. შინაურ, პრინციპიალურ უთანხმოებას გარდა, ადგილი ქონდა აგრეთვე უდისციპლინობასაც. ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ რუსეთის სოც. დემ. შეთვისებული ქონებოდა მაგარი და მტკიცე პარტიული დისციპლინა, ასეთი უაზრო დაყოფა, როგორც იყო მაშინ ბოლშევიზმი და მენშევიზმი, ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა. ს. დ. ორგანიზაციულათ იქნებოდა ერთი მთლიანი პარტია, ეს სრულებით არ დაუშლიდა იმას, რომ პარტიაში ყოფილიყო განსხვავება და თუნდაც უთანხმოება როგორც ტაქტიკურ, ისე საორგანიზაციო კითხვების გარშემო. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ აქ გერმანიის სოც.-დემ. პარტია, რომელიც ორგანიზაციულათ წარმოადგენს ერთ მთელს, თუმცა შიგ და შიგ ადგილი აქვს სხვადასხვაგვარ უთანხმოებას“. („წყარო“ № 17, ხაზი ყველგან ჩვენია).

აშკარაა, რომ ეს შეხედულება პარტიულ გაერთიანებაზე ძველი დასელის სრულებით არ გავს მისი ტყუპის ფ. მახარაძის დღევანდელს. ჩვენ ზევით დავინახეთ, რომ დღეს შეერთება შესაძლებელია მხოლოდ პრინციპიალურ შეხედულებათა ერთი მხარისგან უარყოფით, კომპრომისით, ანდა ბოლშევიკებში გათქვეფით, ოთხი წლის წინ კი მიუხედავათ პრინციპიალურ (რამეც თუ მარტო ტაქტიკურ ა. ჟ.) უთანხმოებისა შესაძლებელი იყო გაერთიანება, ერთ ორგანიზაციაში მუშაობა, თუ დაცული იქნებოდა მკაცრი პარტიული დისციპლინა. ეს ერთი.

შემდეგ ძველი დასელი კითხულობს, თუ რა იყო იმის მიზეზი, რომ სოც. დემ. ჩვენში ვერ შექნა მტკიცე დისციპლინა? ავტორის აზრით ამის მიზეზია ის, რომ პარტიის არსებობას ხელს არ უწყობდა გარეშე პირობები, განსაკუთრებით პოლიტიკური, რომ პარტია დაშორებული იყო მასას, მას არ შეეძლო ფართოთ ეწარმოებია თავის მოღვაწეობა არალეგალურ პირობებში და ამიტომ ის დაკავშირებული იყო უფრო ფართო მასის ერთეულებთან. სოციალდემოკრატების ცენტრები კი ამასაც მოკლებულნი იყვნენ, რადგან ისინი უმეტეს შემთხვევაში საზღვარ-გარეთ იმყოფებოდენ. და აი, ავტორის აზრით, ეს მდგომარეობა საუცხოვოთ უწყობდა ხელს უდისციპლინობას. ძველი დასელი სწერს: „იქ, სადაც ორგანიზაციას ქმნიან და ხელმძღვანელობენ ერთეულები, რომლებიც იმავე დროს მოქმედებენ მასის [illegible] დისციპლინა ვერას დროს ვერ განვითარდება. დისციპლინას ქმნის მხოლოდ მასა, ვინაიდან მისი უამისოთ ორგანიზაციულათ შეკავშირება შეუძლებელია“. („წყარო“ № 17).

ამგვარათ, რადგან პარტია „ჩაისახა და აღიზარდა ვიწრო ასპარეზზე, ვინაიდან ფართო ასპარეზზე მოქმედება მისთვის იმ ხანებში წარმოუდგენელი იყო, ამან ხელი შეუწყო ერთეულების შენარჩუნებას (იქვე) მოკლეთ, ავტორის აზრით უდისციპლინობა, რომელმაც ხელი შეუწყო პარტიის ორათ გათიშვას, გამოწვეული იყო პარტიის არალეგალურ არსებობის პირობებიდან.

ასე ფიქრობდა ოთხი წლის წინეთ ძველი დასელი, ხოლო დღეს, როდესაც პარტიას საშუალება მიეცა სრულიად თავისუფლათ დაირაზმოს ორგანიზაციულათ და ფართო მასას პირდაპირ დაუკავშირდეს, მისი alter ego ფ. მახარაძე რომ ძველებურათ მსჯელობდეს, მაშინ დეზორგანიზატორულ და რასკოლნიკურ მოღვაწეობას აღარ აწარმოებდა, თუ სურდა ულოღიკობაში არ ჩავარდნილიყო. ძველი დასელი მაშინ სწერდა: „ერთ ორგანიზაციაში ყოფნა და ორგანიზაციის ერთიანობა და მთლიანობა კიდევ არ ნიშნავს იდეურ უთანხმოებათა მოსპობას. ასე გვესმის ჩვენ პარტიის მთლიანობა. ეს მთლიანობა უნდა ნიშნავდეს ორგანიზაციას და არა დეზორგანიზაციას“. (იქვე) დღეს კი ფ. მახარაძე გამოდგარა და ასეთ საპასუხისმგებლო დროს გაიძახის—საერთო მუშაობა შეუძლებელია, ჩვენში ტაქტიკური უთანხმოებაა, ამიტომ ორგანიზაციას დეზორგანიზაცია სჯობსო. ასე აუშინა გზა-კვალი და თავზარს დაასხა ჩვენს ბოლშევიკებს რევოლიუციის ქარიშხალმა, რომელშიაც ისინი უიმედოთ ფართხალობენ. „წყაროში“ ძველი დასელი სწერდა: „რუსეთის პროლეტარიატი ქმნის კლასობრივ ორგანიზაციას. ვინც ამ ორგანიზაციის ჩარჩოებში ვერ მოთავსდება ან იგი მას ვერ დააკმაყოფილებს, მას ორი გზა აქვს დარჩენილი: ან დაემორჩილოს უმრავლესობას ან თვით ორგანიზაციას განშორდეს“ (იქვე). ძველი დასელის ეს ალტერნატივა ფ. მახარაძემ უკანასკნელი გზით გადასჭრა, ე. ი. პარტიას განშორდა და მით მთელი თავისი შეხედულება არქივს ჩააბარა.

თუ მაშინ ძველი დასელი გვირჩევდა, რომ „ყველა შეგნებული ს. დ.-ის და, მით უმეტეს, ყველა სოც. დემ. დაწესებულების მთავარ საზრუნავ საგანს უნდა შეადგენდეს პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის შენება და მტკიცე დისციპლინის საშუალებით მისი გამაგრება“ („წყარო“ 17) და „მუშათა სოც. დემ. პარტია შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი. ან შეიძლება იგი სრულებით არ იყოს, რომ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, როგორც ბოლშევიკური, ისე მენშევიკური ს. დ. მუშათა პარტია, ეს პირდაპირ სისულელე იქნებოდა“ („წყარო“ № 18).—დღეს ძველი დასელის კარგი მეგობარი ფ. მახარაძე ამ [illegible] და სისულელეს თავის მთელი ენერგიით ადასტურებს და საქებრათაც მიაჩნია იგი.

სად არის ლოღიკა? სად დაიკარგა ძველი სადა აზროვნება?

ვიცით, რომ თავიანთ შეუსაბამობის გასამართლებლათ მიგვითითებენ იმაზე, რომ ამ რევოლიუციაში მენშევიკები თავის ტაქტიკით დაშორდენ მარქსიზმს, უღალატეს კლასობრივ პოლიტიკას და, როგორც წარამარა გაიძახიან, მიემხრნენ ბურჟუაზიას და სხვ. და ამიტომ გამოუვალ [illegible], მაგრამ ამ [illegible] ვინ გასწყვიტა სრულებით კავშირი მარქსიზმთან, ვინ უღალატა ისტორიულ მატერიალიზმს, მეცნიერულ სოციალიზმს და ანარქისტების ბანაკში მოიყვანა თავი მენშევიკებმა თუ ბოლშევიკებმა—ამის შესახებ მოვილაპარაკოთ შემდეგ.

ალ. ჟურულიანი.

წყლის საკითხი თფილისში.

დღეს წყლის კრიზისს განიცდის დღის ქ. თბილისი, ქალაქის თვითმართველობა, რომელიც დღეს სულ ლაფავს ახალი „ზაბეპინის“ მოლოდინში, [illegible] აუარებელ ფულებს ხარჯავს თვ. წყლის სადენის გაფართოებაზე, მაგრამ საქმეს ვერა უშველა რა... თბილისის სასურსათო კომიტეტმა 17 ივნისს მოიწვია საგანგებო კრება [illegible] პირთაგან. კითხვის გამორკვევის შემდეგ კომიტეტმა აირჩია სამი კაცისაგან შემდგარი [illegible] „წყლის კომისია“. კომისიამ პირველი სხდომა ჰქონდა 19 ივნისს და შემდეგი დაადგინა:

1) რადგანაც თფილისში ამ ქამად წყალი ნაკლებობაა და ბაღების მორწყვაზე ბევრი წყალი იხარჯება და მისთან ქუჩები [illegible] ირწყვება, ამიტომ დაუყონებლივ აღდგენილ იქნეს ნიმელთა არხი, რომელიც [illegible]. ამ მიზნისათვის გადაიდეს სასურსათო კომიტეტის თანხიდან (სესხის სახით) 5000 მ. [illegible]

2) ქუჩები მორწყვა მტკვრის წყლით ან ნიმელთა არხიდან [illegible] შეხებ წინადადება მიეცა ქალაქის გამგეობას [illegible] რომ თავისუფალი ადგილის ნაწილის კომისრებმა ამ საქმეს.

3) ვინაიდან წყალი ნაკლებათ არის, ეთხოვოს მუშათა და ჯ.-კ. დ. საბჭოს, რომ მიმართოს თფ. გარნიზონს და სახელმწიფო დაწესებულებებს, მასთან ჰოსპიტლებს და ლაზარეთებს, რომ წყალი დაზოგვით იხმარონ და ჯარი ნუ აბანავებს ცხენებს სასმელი წყლით.

4) ეცნობოს კახეთის და ამიერ კავკ. რკინის გზებს და სასაკლაოს, რომ პირველნი ნუ იხმარებენ სასმელ წყალს ორთქლ მავლებისთვის და უკანასკნელი კი დაზოგვით მოექცეს წყალს. ასეთი ზომებია მიღებული წყლის უზომოდ ხარჯვის წინააღმდეგ.

კომისია მეორედ პირებთან ერთათ 21 ივნისს გაემგზავრა ავჭალაში ადგილობრივ საქმის გამოსარკვევათ და ზომების მისაღებათ. გამოირკვა შემდეგი:

ავჭალიდან თფილისში მოდის ორი მაგისტრალი (მილი), პირველია 16 დუიმიანი, ხოლო მეორე 14 ნი, რომლებიც აშენებულია 1905 წელში. ნაძალადევში აშენებულია ორი დიდი აუზი, პირველი იტევს (ზევითი) 80000 ვედრო წყალს, ხოლო მეორე (ქვევითი) 120000 ვედროს. ამ აუზებიდან იკვებება მთელი თფილისი. ეს აუზები რამდენიმე ათეული წლის წინით არიან აშენებული და მას აქეთ არაფერი მომატებით, მასთან ძრიად უსუფთაოთ არიან შენახულები.

ამ ჟამათ, ქალაქის ინჟინრების სიტყვით, რომ თფილისმა უწყლობა არ იგრძნოს საჭიროა დღე და ღამეში 2,000 000 ვედრო წყალი, ნამდვილათ კი თფილისს ეძლევა დღე და ღამეში 1 მილიონი და 200,000 ვედრომდე წყალი, რაიც რა თქმა უნდა ნახევრათ ძლივს აკმაყოფილებს თფ. მცხოვრებთ.

მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ ავჭალის წყალსადენი ცუდ მდგომარეობაშია, უმთავრესი წყლის საქაჩავებლის (ტურბანარისი) ნახევარი ნაწილები დაჟანგრეულია და უმოქმედოთ დგას. (ნაწილები შეუკვეთილნი შვეიცარიაში და ჯერ მზათ არ არის). ამ რიგათ სამარქაფო მანქანები აღარ არის და რომ ახლა მომუშავე მანქანებს რამე მოუვიდეს ქალაქი შეიძლება უწყლოთ დარჩეს. ყოველივე ზემო ნათქვამის მიდამო რა ანაზღაურებლობაში კომისიამ საჩქაროთ დაინახა დაუყოვნებელი ზომები. ქალაქის გამგეობას ამ ცოტა ხანში შეუძენია რკინის გზიდან ნასოლები, ამ ნასოლებს ჰქონია თავის მოტორები „დიზელისა“, რომლებიც უმთავრეს სახელოსნოებში გადმოუტანიათ, კომისიამ გადაწყვიტა მოლაპარაკება რკინის გზასთან და მოტორები დაუთმოს ქალაქს, რომლების გადატანასაც უკვე შეუდგნენ ავჭალაში. ამ რიგათ, ამ ცოტა ხანში არამც თუ მარქაფო მანქანები არ ექნება ქალაქს, პირიქით ეს მანქანები წყლის რაოდენობის მოცემასაც გაადიდებს, ვინაიდგან იგი დღე და ღამეში მოგვცემს 500,000 ვედრო წყალს. ზომები უკვე მიღებულია, რომ ავჭალაში მუშაობა ჩქარა სწარმოებდეს.

კომისია კვლავ განაგრძობს მუშაობას.

კომ. წევრი ალ. მაჩაბურაძე.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში.

1 ივნისს, მოხდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომა. დღის წესრიგი: 1) მოხსენებები სრულიად რუსეთის მ. და ჯ.-კ. დეპ. საბჭოთა ყრილობის მუშაობის შესახებ; 2) 25 ივნისს ნაძალადევს მიტინგზე მომხდარი ამბები; 3) ჯარისკაცთა მოკლე ვადით განთავისუფლება (объ отпускахъ) და 4) სხვადასხვა კითხვები.

სრულიად რუსეთის მ. და ჯ.-კ. დეპუტატების საბჭოთა ყრილობის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთეს ვერეშჩაკმა და იდაშკინმა. მოხსენებლებმა დახასიათეს პეტროგრადის მდგომარეობა უკანასკნელ დღეებში და მოუწოდეს დამსწრეთ მხარი დაუჭირონ ყრილობის დადგენილებებს და შეუწყონ ხელი მათ ცხოვრებაში გატარებას. მოხსენებების შემდეგ გაიმართა კამათი. უმრავლესობა ორატორებისა ეთანხმება ყრილობის მუშაობას და თანაგრძნობას უცხადებს მას. მოხსენებამ ვერ დააკმაყოფილა მხოლოდ ბოლშევიკი—ორატორები, მაგრამ მათ პოზიციამ თანაგრძნობა ვერ გამოიწვია დამსწრეთა უმრავლესობაში.

კამათის დასრულების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: „მოისმინა რა ამხ. ვერეშჩაკისა და იდაშკინის მოხსენებები სრულიად რუსეთის მუშ. და ჯარ.-კ. დეპუტატების საბჭოთა ყრილობის მუშაობის შესახებ და იღებს რა მხედველობაში, რომ შეკავშირებულ პროლეტარიატისა და რევოლუციონურ ჯარის ძლიერმა ხმამ აღნიშნა შემდეგი გზა რევოლუციის განვითარებისა და მისი გაღრმავების საშუალებანი და რომ ეს გზა ერთად ერთია რევოლუციის გასამაგრებლად—თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო სცნობს უძლევრად სრულიად რუსეთის მუშ. და ჯ.-კ. დეპუტატების საბჭოთა ყრილობის ცენტრალურ კომიტეტს, როგორც ყრილობის დადგენილებათა ცენტრალურ ორგანოს და ჰპირდება მას ენერგიულ დახმარებას ყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების დროს, განსაკუთრებით მშრომელ დემოკრატიის დამფუძნებელ კრებამდე მიყვანის საქმეში, რომელიც ყრილობის გადაწყვეტილებით მოწვეულია დროებითი მთავრობის მიერ 30 ენკენ. 1917 წ.“.

ამის შემდეგ შეუტანეს ამ რეზოლუციის იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია მისალმებასა და ყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის ხმარის დაჯერებაზე, ე. ი. ხალხმს უძლევნან ცენტრალურ კომიტეტს და მხარს უჭერენ ყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას.

25 ივნისს მომხდარ ამბების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სტრელკოვსკიმ. მოხსენებიდან სხვათა შორის ირკვევა, რომ საორგანიზაციო კომიტეტების კრებას დაუდგენია საქმის საბოლოოთ გამოსარკვევათ შესდგეს კომისია, რომელშიაც შევლენ 7 წევრი საორგანიზაციო კომიტეტებიდან, 3 აღმასრულებელ კომიტეტისაგან, 1 სოც. რევ. და 2 სოც.-დემ. კომისიას ნება აქვს სათათბირო ხმით მოიწვიოს საჭირო პირები.

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათიდან გამოირკვა, რომ 25 ივნისის მიტინგზე მომხდარი სამწუხარო ამბები უპასუხისმგებლო ნაძირალების საქმეა და მასში არც ერთ პოლიტიკურ მიმართულებას ბრალი არ მიუძღვის.

ასეთივე აზრს ადგენია საორგანიზაციო კომიტეტების კრებაც...

ამ საკითხის შესახებ მიღებულ იქნა ერთხმათ შემდეგი რეზოლუცია: „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო,—მოისმინა რა აღმასრულებელ კომიტეტის მოხსენება სასახლეში კავკასიის ჯარის ცენტრის სადგომში და საგარნიზონო მიტინგზე 25 ივნისს მომხდარ სამწუხარო ამბების შესახებ, გამოსთქვამს თავის უკიდურეს აღშფოთებას ამ ხულიგანურ ექსცესების მომწყობთა წინააღმდეგ, ზიზღს უცხადებს მათ, როგორც კონტრ-რევოლუციონერებს და მოითხოვს საქმის დაჩქარებით გამოძიებას და დამნაშავეთა დასჯას“.

ჯარისკაცთა დროებით განთავისუფლების საკითხი გადეცა აღმასრულებელ კომიტეტს.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

შემოქმედის რაიონი.

კვირას, 25 ივნისს მოხდა რ. ს. დ. შემოქმედის რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. კრება იხსნება დილის 10 საათზე მუდმივი თავმჯდომარის ა. შ. თავმჯდომარეობით, და მუდმივ მდივნის თანაშემწის ამხ. ი. მაჭულაიშვილის მდივნობით.

დღის წეს-რიგშია გასარკვევათ შემდეგი კითხვები.

1) დელეგატ ა. შ. მოხსენება ამიერ-კავკასიის ს. დ. კონფერენციის შესახებ.

2) ლანჩხუთის კოლექტივის დადგენილება ოზურგეთის კომისარების შესახებ.

3) იდეური მუშაობა.

4) კომისიების მოხსენება ადგილობრივ პირველ დაწყებითი სასწავლებლის ინსპექტორის მ. შა—ძის და ადგილობრივ სოფლის აღმასრულებელ კომიტეტის შესახებ; 5) საწევრო ფულის მოკრება; 6) კოლექტივის მორიგი კრება; 7) წევრთა მიღება; 8) ტუსაღების შესახებ; 9) დეზერტირების შესახებ; 10) ადგილობრივ ოთხ კლასიან სასწავლებლის შესახებ; 11) სოფლის კომისარის განცხადება და სხვა.

ამიერ-კავკასიის ს. დ. კონფერენციის მოხსენების შესახებ გადასწყვიტა გააკეთოს მოხსენება კოლექტივის კრებაზე, ხოლო შემდეგ სადაც საჭიროდ დაინახავენ ადგილობრივი ორგანიზაცია—წრეებში. ამის შემდეგ ამიერ-კავკასიის ს. დ. კონფერენციის შესახებ მოკლეთ მოხსენებას აკეთებს დელეგატი ა. შ—ძე. მოხსენება გაგრძელდა 2 საათს. როცა მომხსენებელი გადადის ს. დ. წესდებაზე, სახელდობრ იმ მუხლზე, სადაც ნათქვამია წევრთა მიღების შესახებ ს. დ. პარტიაში—ამხ. დ. გრძელიშვილს შემოაქვს წინადადება, რომ საჭიროა ვიცოდეთ მღვდლების პარტიაში მიღების შესახებ, როგორი აზრის იყვნენ ჩვენი დელეგატები კონფერენციაზე, რადგან როგორც გვიგია, ჩვენს რაიონში ერთ ერთ მღვდელსაც ისწრობენ კრებაზე, თუმცა და მხოლოდ სათათბირო ხმით. მომხსენებელი ამბობს, რომ კონფერენციამ ნუ რამოშეილ განმარტების თანახმათ მიიღეთ ის ადგილობრივ ორგანიზაციებს, ამიტომ მომხსენებლის აზრით, თუ ისეთი მღვდელი გამოჩნდება, რომელიც საქვეყნოთ დაემორჩილება ჩვენს პროგრამას და რომელიც 1905 წ. ცნობილია, როგორც პოლიტიკურად ისე ზნეობრივათაც საიმედო პიროვნებათ, ამიტომ შეიძლება ასეთი მღვდლები დაისწრონ წრეების კრებაზე სათათბირო ხმით. ამის შესახებ კრებამ დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: არას გზით მღვდლები, რასაც ისინი არ უნდა წარმოადგენდნენ, „არ უნდა დაესწრონ პარტიულ კრებაზე არც სათათბირო ხმით“.

წითელმთიელი.

ბაღდათის საზოგადოება.

25 ივნისს აქ სამმართველოს წინ—ეზოში ყურამი ჩიქოვანის თავმჯდომარეობით და მასწავლებელი კონდრატე ყურაშვილის მდივნობით შესდგა რ. ს. დ. მუშათა პარტიის ორგანიზაციის წევრთა კრება. ამხ. ანდრო ანჯაფარიძემ გააკეთა ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება თანამედროვე მომენტზე, ნაციონალურ და აგრარულ საკითხებზე. ნათლათ და გასაგებ ენით გაარკვია მიწის სოციალიზაცია და მუნიციპალიზაცია. კრებამ მიიღო მუნიციპალიზაცია.

ქ. ყურაშვილი.

ხოფ. ჯვარცხმა (გურია).

კვირას, 25 ივნისს შესდგა ქვემო ჯვარცხმის რ. ს. დემ. მ. პ. ქალთა წრის კრება. დაესწრო 30-დე წევრი. დღიურ წეს-რიგში იყო: 1) ახალი წევრთა მიღება, 2) სამკეადინო დღე, 3) კოლექტივის არჩევა, 4) ორგანიზაციის გაფართოება. დღემდე ორგანიზაციაში ყოფილა 40 წევრი, კიდევ ჩაეწერა 4 ახალი წევრი. სამკეადინოთ უნდა შეიკრიბონ კვირაში ერთხელ ოთხშაბათობით. წევრების მიღებაზე ზრუნვა მიენდო კოლექტივს. საჭირო ცვნებ დაჩქარებით შესდგეს რაიონული კოლექტივი და ბოლოს ფარული ხმით აირჩიეს კოლექტივი 5 კაციდან შემდგარი: სალომე ასათიანი, ბაბინე ეგრესლი, სოლომონიდა ჩხიკვაძე, შურა თავზარიძე და თამარა შარაშენიძე.

ივ. კორომშაპირელი.

ქ. ალექსანდროპოლი.

აქ შესდგა ს. დ. მ. პ. დროებით ბიურო. ბიურომ მოიწვია საერთო კრება და აირჩიეს თუთხმეტი კაცისაგან შემდგარი ცენტრალური კომიტეტი. კომიტეტი დაიყო სექციებათ. ქალაქის და სამხედრო სექციები შეუდგნენ მუშაობას და ენერგიაც გამოიჩინეს: დაარსეს სკოლა პროპაგანდისტებისა, სადაც იკითხება სისტემატიური ლექციები, როგორც სამხედრო ნაწილში ისე ყველა კუთხეებში; აქ გამოდის ჩვენი ორგანო სომხურ ენაზე „ნორ-კიანკ“. ამ ახალ გაზეთს ყავს 1200 მკითხველი.

ჯარისკაცი ნიკო მგელაძე.

მუშათა ცხოვრება

თფილისი. შუშის საწყობის სადგურის არტელი, როგორც იყო აღნიშნული „ერთობაში“, ცუდათ იქცევა და თვითონ ეწევა ექსპლოატაციას. ქირაობს დღიურ მუშებს და რაც შეიძლება ნაკლებ ხელფას აძლევს. ეს ჯგუფი ჯერ კიდევ 1905 წ. ჩადგა აქ გაფიცულ მუშების ადგილას. ამ ჯგუფს აქვს რკინის გზის ყოფილი უფროსის გენერალ-მაიორის ნეგებაუერის ხელწერილი, რომელმაც გაფიცულები გარეკა და ეს ჯგუფი ჩააყენა აქ. სამწუხარო ის არის, რომ დღეს ეს ჯგუფი განაგრძობს მოქმედებას—მიუხედავათ იმისა, რომ რევოლუციამ ძირიანფესვიანად ამოფხვრა ძველი რეაქციონერების ბუდეები.

კარა.

ქანხული. (ბათუმის ოლქი). ქანხულის მაღაროების მუშები ძველ რეჟიმის დროს აუტანელ პირობებში იმყოფებოდენ.

დღეს მათ ხმა აღიმაღლეს. აქაური მუშების უმეტესობას თათრები შეადგენენ, შემდეგ ქართველები. მუშები მუშაობენ რვა საათს დღეში. ქირას იღებენ 2 მ. 60 კ. ასეთი ხელფასი ძალიან მცირეა. აქ ამორჩეულია მომრიგებელი კამერა. სამსონ ფურცელაძე, ყარამან გოგიბერიძე და ბიქტორ ბოლქვაძე. ისინი მედგრათ იცავენ მუშების ინტერესებს.

მუშებს აქ გვაქვს სამკითხველო. მოგვდის ყველა გაზეთები. მაგრამ ამ გაზეთებით ყველა არ სარგებლობს. ბევრი მუშა კარტის თამაშობაში ატარებს დროს.

ხეედა.

თფ. ხელზე მოსამსახურენი. თფილისის ხელზე მოსამსახურეთა საერთო გაფიცვა დაიწყო. რამდენიმე ათასი მშრომელი ქუჩაშია გამოსული. ისინი ითხოვენ იმ კანონიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, რაც ამ სამი თვის წინათ წარუდგინეს ხაზეინებს. ვერც მუშათა და სალდათთა საბჭო, ვერც მომრიგებელი კამერა ვერაფერს გახდა, რადგანაც კლუბის მომასახლისები ყოველთვის გაურბოდენ ჩვენთან მოლაპარაკებას და საქმის მშვიდობიანათ დასრულებას.

სამწუხაროთ ამ გაფიცვას ბევრი ხელს უშლის და ჭორებს ავრცელებენ საზოგადოებაში. ამის შესახებ უკვე იყო გუშინ ჩვენს გაზეთში. ამხანაგებს მოუწოდებთ მტკიცეთ ჩაატარონ გაფიცვა.

ამროსი დარცმელია.

თფილისის ხელზე მოსამსახურეებთა გაფიცვა. ჩვენს წინააღმდეგ იბრძვიან მზარეულები. ჰოტელის მრეცხველებს ეუბნებიან, თქვენ არ გაიფიცოთ. თქვენ იქნებით ჩვენს მფარველობის ქვეშაო, ამიტომ უნდათ დაამარცხონ გაფიცულები. ამასთანავე თავიანთ ხელქვეითებს აკეთებინებენ გაფიცულების საქმეებს და მათ შეგნება. ფარაშვილის სიტყვით თითქოს მოსამსახურეთა კავშირიდან გამოსვლა, მათი გაყოფა, კავშირის საბჭოს ბრალი იყოს. ხელზე მოსამსახურეთა და მზარეულთა შეერთებულ კრებაზე იყო შემუშავებული მოთხოვნილებანი და წარუდგინეს ხაზეინებს. ხაზეინებმა მოისურვეს მომრიგებელ კამერაში გადაეცემა, რაც საბჭოში იქნა მოყვანილი. კამერაში შედიოდა ხუთი ხაზეინების და ხუთიც მოსამსახურეების წარმომადგენელი. მუშათა საბჭოდან იყო მოწვეული თავმჯდომარე, სადაც საქმე მორიგებით გათავდა რამოდენიმე მუხლის შემოკლებით. არ გასულა ერთი კვირა და მზარეულებმა ახალი მოთხოვნები შეიმუშავეს და გაუგზავნეს საბჭოს—თუ ეს არ წარგვიყენებიით ჩვენ თქვენ უნდა გაფიცვეთო. საბჭომ მიუგო: მოითმინეთ, ერთი თვე მაინც გავიდეს და შემდეგ ახალი მოთხოვნები შეიმუშავეთო. ამას არ დათანხმდენ და გავიდნენ კავშირიდან.

ფრინარა.

პროვინციის ცხოვრება.

ძირულა. ძირულის მომხმარებელი საზოგ. „სახალხო დუქანი“ დაარსდა 1616 წელს 2 მაისს. გამგეობამ დიდი დახმარება გაუწია ამ ხნის განმავლობაში საზოგადოებას. გამგეობის ენერგიული მოქმედებით შეძენილი იქნა 30,000 ფუთი სიმინდი, 4,000 ფუთი მარილი, 1,500 ფუთი შაქარი, 500 ფუთი შაბიამანი, 100 ფუთი გოგირდი და სხვა პირველი მოთხოვნილების საგანი. როგორც წლიური ანგარიშიდან აღმოჩნდა, მთელი საქონლის გაყიდვით გადაბრუნებულა 68,527 მან. და 95 კაპ. მოგება დარჩა 5,444 მანეთი და 57 კაპ. სამწუხაროთ ასეთ სიმპატიურ დაწესებულების წლიურ კრებაზე დიდი აურ-ზაური მოხდა და რომ რამოდენიმე ინტელიგენტს ხელი არ შეეწყო კოოპერატივი დაიხურებოდა. ეს მოხდა რამოდენიმე ბნელი ძალების მეოხებით. წლიური კრება პირველათ 13 მარტს მოხდა, რომელსაც თავმჯდომარეობდა წევრი ამხანაგობისა ერმალოზ ებანოიძე; პირველ კრებაზე გაირჩა მხოლოდ წარსული წლის ანგარიში, და რადგან დრო აღარ იყო თავმჯდომარემ კრება დახურა და გადადვა 16 აპრილისთვის. მეორე კრება, რადგან მცირე რიცხოვანი გამოდგა, გამგეობამ წესდების ძალით საჭიროთ არ სცნო კრების გახსნა, მაგრამ ერთმა მხარემ გამგეობის წინადადებას ყურადღება არ მიაქცია, ძალით გადააყენა ძველი გამგეობა და სარევიზიო კომისია და აირჩია ახალი ისეთი პირები, რომლებიც წესდების მიხედვით ღირსი არ იყვნენ ამ თანამდებობისა (ვაჭრები). ეს გარემოება დაუყოვნებლივ ეცნობა კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირს, რომელმაც საქმის გამოსაძიებლათ გამოგზავნა ინსტრუქტორი ბ. ქავჟარაძე, რომელმაც კრების დადგენილობა უკანონოთ იცნო, დაარღვია არჩევნები და ხელ-ახალი კრება დანიშნა 11 მაისისთვის. ამ დღეს 756 წევრიდან გამოცხადდა 319 კაცი და ქალი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა დიმიტრი ტუხარელი, ამხანაგათ გიორგი აბაშიძე და მდივნათ ალექსანდრე ხარატიშვილი. კრებამ ერთხმათ დაამტკიცა წასული წლის ანგარიში, დიდი მადლობა უძღვნა გამგეობას და სარევიზიო კომისიას და ამის შემდეგ შეუდგა მიმდინარე წლის ხარჯთ აღრიცხვას და დაადგინეს შემდეგი: მთელი წლის მოგებიდან ნახევარი უნდა მიიღოს გამგეობამ და ამ ფულით უნდა დაიქირაოს მოსამსახურე და საწყობის შენობა, ნოქრები და გაისტუმროს ყოველგვარი ხარჯები, ხოლო გამგეობა ვალდებულია, რომ გაყიდული საქონლის მოგება არ უნდა აღემატებოდეს ერთი მეორეზე 10 პროც. ე. ი. მანეთმა უნდა მოიტანოს ორი შაური. ამის შემდეგ კრება შეუდგა არჩევნებს; ამ დროს კიდევ გამოვიდა ერთი წევრთაგანი ამხანაგობისა ქუთაისის მოვაჭრე ალექსანდრე თაბაგარი და ურჩია კრებას, რომ გამგეობის წევრებათ აირჩიოთ ვაჭრები. ამ წინადადებას გამოეკამათა ალექსანდრე ნიჟარაძე და ხარატიშვილი და აცნობა კრებას, რომ წესდების 36 მუხლის ძალით ასეთ სახალხო დაწესებულებაში ვაჭრებს უფლება არა აქვთ გამგეობის წევრათ ყოფნისა და თუ კრება ამ წინადადებას მიიღებს, არჩევნები უკანონო გამოდგება და ხელ-ახლა საჭირო იქნება ხალხის შეკრება. გამგეობაში აირჩიეს ხუთი კაცი (არა ვაჭრები), ორი ძველი და სამი ახალი. მაგრამ, სამწუხაროთ დაგვიანებისა და სიჩქარისა გამო ორი კიდევ არა საიმედო პირები.

ერმალოზ ებანოიძე.

ხ. ასკანა. (გურია). ეს ორი თვეა, რაც გურიაში გამუდმებით წვიმს. ყანები დაუმუშავებელი დარჩა და მოსავალიც რაღა თქმა უნდა ყოვლად უვარგისი იქნება. ჩვენი სოფლის ერთად ერთი საუკეთესო შემოსავალი—ეს ღვინო იყო, მაგრამ წვიმების გამო ყურძენიც გაფუჭდა, აბრეშუმის ჭია ხომ საერთოდ გურიაში გაფუჭდა წელს უვარგისი თესლის გამო და შემოსავლის ეს წყაროც მოისპო ხალხს. ამას დაერთო საქონლის ჭირიც, რომელიც რამოდენი ხანია გურიაში მძვინვარებს და იშვიათია ისეთი მოსახლე, რომ ზარალი არ მიეყენებინოს, მაგრამ საშველებს არსაიდგან მოჩანს. ჩვენში საძოვარი ადგილები ძლიერ ცოტა არის და ზაფხულში 2—3 თვეს საქონელს მთებზე ერეკებოდნენ საძოვრად, მაგრამ საქონლის ჭირის გავრცელების გამო ეს აკრძალულია და საქონელი, რომელიც ცოცხალი გადარჩა შინვე უნდა აძოვოს კაცმა. საერთო უმიწოდურობასთან და სიძვირესთან ერთად ხალხს თავზე დაატყდა ასეთი უბედურებაც. საჭიროა საქონლის ჭირის შესახებ მაინც იქნას მიღებული ზომები.

ნ.

გაზეთის სასარგებლოთ.

მარიამ მერაბიძემ თავის გარდაცვლილ შვილის ალექსანდრე მერაბიძის წლის თავის აღსანიშნავათ გადმოგვცა „ერთობის“ ფონდის სასარგებლოთ 5 მანეთი.

—

მივიღეთ მოწაფე ქალების თამარა სიმონის ასულის ლომიძის და მანია ტერტეროვის მიერ ამხანაგთა შორის შეგროვილი ხუთი მანეთი ჯარისკაცებისათვის გაზეთის გასაწერათ.

წერილები რედაქციის მიმართ.

ქ. ჩხერის სამკითხველოს გამგეობა ღრმა მადლობას სწირავს მიხეილ იორდანეს ძე ქაჯაიას, რომელმაც ქ. ბუდაპეშტში შეაგროვა სამკითხველოს სასარგებლოდ 60 მ. და 50 კ. და ერთი წლით გამოუწერა ჩვენ სამკითხველოს ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“.

ადგილობრივ სცენის მოყვარეებს, რომლებმაც სამკ. სასარგებლოთ გამართეს წარმოდგენა. გამგეობამ მიიღო წმინდა შემოსავალი 110 მ. 6.

მაგდალინა ჯიქიას ასულს, რომელმაც თავის განსვენებულ ძმის ლუკა ჯიქიას ხსოვნის აღსანიშნავათ გამოუწერა მთელი წლით სამკითხველოს ჟურნალი „ნაკადული“. გამგეობა ღრმა მადლობას უძღვნის აგრეთვე პრაპ. პლატონ გაბუნიას, რომელმაც გამოუგზავნა სამკითხველოს ნაცნობებში შეგროვილი 40 მ. და ყველა შემომწირველთ, რომელთაც გამოიღეს თავიანთი წვლილი სამკითხველოს სასარგებლოთ.

სოფ. ონოღის სამკ. გამგეობის მდივანი: ხერგე ჯიქია.

—

ჩემი ქმარი მასწავლებელი იოსებ ლუკას ძე წულაია ავათმყოფობდა. ავათმყოფობის დროს რამოდენიმე ნისმა ამხანაგებმა აღმოუჩინეს ნივთიერი დახმარება. ყოველივე ცდა ამაო გამოდგა და 14 ივნისს გარდაიცვალა ს. ხუნჯულაურში საკუთარ სახლში. დასაფლავების დღეს ს. სამტრედიის ამხანაგებმა მუსიკით და დროშებით დაესწრნენ და მით მწუხარება შეგვიმსუბუქეს. ყველა ზემოხსენებულ პირებს განუსაზღვრელ მადლობას ვუცხადებთ.

განსვენებულის მეუღლე აკვლინა ნიკოლეიშვილის ასული.

—

მადლობას ვუცხადებთ სიმონ კოპალაძეს და ივანე ჯაშს, რომლებმაც ბასილეთის სამკითხველოს სასარგებლოთ შეაგროვეს და გადმოგვცეს პირველმა 29 მ. 35 კ., ხოლო მეორემ 29 მ. და 35 კაპ.

აგრეთვე მადლობას ვუცხადებთ ნინა და ილიკო მეავანაძეებს, რომლებმაც თავიანთ ნაცნობ-მეგობრებში შეაგროვეს 23 მანეთი.

ბასილეთის სამკით. გამგეობის თავმჯდ. სილიბისტრო ჯაში.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

ჯარისკაცი კალისტრატე გულუა მსახურებდა მოქმედ ჯარში კავკასიის მე-4 მოსაზღვრე პოლკში. თუ ვინმემ იცის რამე, ვთხოვ შეგვატყობინოს შემდეგი მისამართით: Хабуме с. Джумати Спиридону Цахнакидзе.

— გიორგი ნესტორის ძე დუმბაძე ირკუტსკის გუბ. ბალაგანსკის მაზრაში, სად. ჩერამხოვოში გადასახლებული იყო, როგორც პოლიტიკური. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ გვაცნობოთ ფოთში ს. ორაგველიძეს.

ჩვენი ფოსტა.

ხ. წევას სცენის მოყვარეთა ჯგუფს. მიმართეთ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს.

რედ.-გამომცემელი ვლ. მ. ბოხოხაძე.

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში

წლით 20 მ., ნახევარი წლით 11 მ., სამი თვით 6 მ. ერთი თვით 2 მ.

გაზეთის ფასი ხელის მომწერ. წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ, ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199, ВЛАСІЮ МАЛАКІЕВИЧУ БОХОХАДЗЕ.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლღას ქუჩა, № 6.

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-დღიურ გაზეთ

„სოციალ-დემოკრატ“-ზე

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ.ნ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით—4 მ. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და სამხედრო-გარეთ ორჯერ მეტი.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Кутаисъ, редакція „Соціал-демократъ“, Тутку Гварамія. სხვა ადრესით გამოგზავ. ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა ბაბაევის შესახვევი № 1.